ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

15
სექტემბერი, ორშაბათი, 2014 წ., №10

ნომერში



■ რაში გამოიხატება თსუ-ის ლიდერობა? გვ. 3

■ ახლო მომავალში სახელმწიფო უნივერსიტეტების განვითარების ფონდის შექმნა იგეგმება გვ. 3

■ წლის საუკეთესო პედაგოგები გვ. 3

■ უნივერსიტეტისთვის შეუფერებელ საქმიანობას თბილისის მერი კრძალავს გვ. 9

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

მინდა, ყველას მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება!

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში მოდიან პირველკურსელები — ეს ჩვენთვის ახალი შევსებაა, ახალი სისხლი... მათაც აქვთ თავიანთი მოლოდინები და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ ეს მოლოდინები გავუმართლოთ — მივცეთ შესაძლებლობა, რომ მიიღონ სათანადო დონის განათლება!

ლადო პაპავა
რექტორი, აკადემიკოსი



გამორჩეულნი

მე-8 გვერდზე

„აპოკალიფსური შეტევა“ უნივერსიტეტზე წარსულს ჩაბარდა

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებაც ხშირად გამოდიოდა გალანძღული საზოგადოების გარკვეული ნაწილის იმ ეჭვების გამო, რომ უნივერსიტეტის პანთეონს სხვაგან გადაიტანდნენ და რომ თსუ-ში უნივერსიტეტის დამფუძნებელთა თუ ღირსეულ საზოგადო მოღვაწეთა ბიუსტები განადგურდა. „შავ პიარს“ დღეს არსებულმა ვითარებამ ბოლო მოუღო და რეალურად გაკეთებულმა საქმემ უნივერსიტეტის წარსული დიდება აღადგინა.

თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას მხარდაჭერით უნივერსიტეტის ეზოსა და პირველი კორპუსის ფოიეებში აღდგა და დაიდგა ღირსეულ საზოგადო მოღვაწეთა ბიუსტები. სულ ახლახან პანთეონს უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ექვთიმე თაყაიშვილის ქანდაკებაც შეემატა.

„ადრე ხშირად იყო საუბარი იმაზე, რომ უნივერსიტეტში მისი დამაარსებლების ბიუსტები დაიკარგა, გაფუჭდა და ა.შ. მართალია, ზოგიერთი მათგანი საჭიროებს რესტავრაციას, ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ყველა ბიუსტი აღვადგინოთ. ჩვენ შევქმენით სპეციალური კომისია, რომელშიც წარმოდგენილია საუნივერსიტეტო საზოგადოება ყველა ფაკულტეტიდან. სწორედ ეს კომისია წყვეტს — სად რომელი მოღვაწის ბიუსტი დაიდგას. პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ბიუსტების გვერდით აკაკი შანიძისა და იოსებ ყიფშიძის ბიუსტებიც დავდგით. ვმუშაობთ იაკობ გოგებაშვილის ქანდაკებაზეც. ასევე ივანე ბერიტაშვილის სახელი მივანიჭეთ იმ აუდიტორიას, სადაც იგი ლექციებს კითხულობდა. სწორედ შესასვლელთან დავდგით მისი ბიუსტი. განვაახლებთ ილია ვეკუასა და ნიკო მუსხელიშვილის ბიუსტებსაც. ეს მადლიანი საქმე უკვე დავიწყეთ და პროცესი კვლავ გაგრძელდება“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

ასე რომ, უნივერსიტეტის ეზოსა და კორპუსის ფოიეებში თქვენ კვლავ შეხვდებით ყველა იმ ღირსეულ ადამიანთა ძეგლებს, რომელთაც უნივერსიტეტთან საქმე და სიყვარული აკავშირებდათ.

ახლადშეძენილი რობოტოსკანერი სასწავლო სახელმძღვანელოების სიმწირის პრობლემას მოხსნის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნიკური ბაზა კიდევ ერთი ძვირფასი მოწყობილობით შეივსო. თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივითა და მხარდაჭერით, უნივერსიტეტმა საკუთარი სახსრებით რობოტოსკანერი შეიძინა. სტუდენტები ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სახელმძღვანელოების არასაკმარისი რაოდენობის გამო. ახალი სასწავლო წლიდან კი ეს პრობლემა რობოტოსკანერის დახმარებით მოიხსნება.

„შევეცადეთ, რომ მომზადებულები შევხვედროდით ახალ სასწავლო წელს. ხანგრძლივი დროის და დიდი წვალების შემდეგ მოვახერხეთ და შევისყიდეთ რობოტოსკანერი, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, ინტენსიურად მუშაობს. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს — სტუდენტები უზრუნველვყოთ სასწავლო ლიტერატურით", — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ.

რობოტოსკანერი თსუ-ის ბიბლიოთეკის შენობაში განთავსდა და მის ფართო გამოყენებასაც უკვე შეუდგნენ.

ზურაბ გაიპარაშვილი,
თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორი:

— თსუ-ის რექტორის ინიციატივითა და მხარადაჭერით შევიძინეთ რობოტოსკანერი, რომელიც ერთადერთია არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონშიც. იგი ძალიან სწრაფად მუშაობს: მას შეუძლია საათში წიგნის 2500-ზე მეტი გვერდის გადაღება და დასკანერება. რობოტოსკანერი მრავალ სამუშაოს ასრულებს: წიგნის ფურცლებს თვითონვე შლის, აფორმატებს და ა.შ. მისი დახმარებით შევძლებთ სასწავლო სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების შექმნას (საავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით). ეს ძვირფასი შენაძენი, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებს სტუდენტთა დიდ მოთხოვნას ისეთ სახელმძღვანელოებზე, რომელთა რაოდენობაც საკმარისი არ არის. ამ გზით საბოლოოდ მოიხსნება სახელმძღვანელოების სიმცირის პრობლემა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისი საშუალებით მოხდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში შენახული რარიტეტული გამოცემების ელექტრონული ვერსიის შექმნა, რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას.

აქვე მინდა ვთქვა, რომ რობოტოსკანერი ავსტრიული წარმოების გახლავთ და, შესაბამისად, ამ ფირმის წარმომადგენელმა ჩვენს სპეციალისტებს ჩაუტარეს ტრენინგი — თუ როგორ უნდა იმუშაოს დანადგარმა გამართულად და მთელი დატვირთვით.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

გზავნილი ადმინისტრაციას

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევთ?

კორნელი კაკაჩია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების პროფესორი:

— ჩემი აზრით, უნივერსიტეტში პროფესორებს სამუშაო ადგილი უნდა ჰქონდეს გამოყოფილი. თუ უნივერსიტეტის აკადემიური პროფესორი არ გრძნობს, რომ იგი არის არა მხოლოდ ლექტორი, არამედ უნივერსიტეტის თანამშრომელი, მისი მოტივაცია არ იქნება მაღალი. მას უნდა ჰქონდეს პერსონალური კომპიუტერი და სამუშაო ოთახი, სადაც შეძლებს — მიიღოს სტუდენტები, მოემსახუროს მათ, ჩაატაროს კონსულტაციები. ამის გაკეთება კი შეუძლებელია დღესათვის გამოყოფილ საერთო საპროფესოროში. მესმის, რომ ძირითადი პრობლემა, რაც ამ საკითხთანაა დაკავშირებული, არასაკმარისი ფართია, მაგრამ თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, არ შეიმუშავა გრძელვადიანი სტრატეგია და არ გადაწყდა უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების საკითხი, ეს პრობლემა არასოდეს მოგვარდება.

მახსოვს, ადრე იდგა საუნივერსიტეტო კამპუსის მშენებლობის საკითხი, თითქოს პროექტიც გაკეთდა, მაგრამ შემდეგ პროცესი აღარ დაძრულა. თუ უნივერსიტეტს უნდა განვითარება და ჩვენ მიმართ მოთხოვნები გაზრდილია, მაშინ ასეთი გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება უნდა მოხდეს, რათა პროფესორმა თავისუფლად იმუშაოს, ჰქონდეს საკუთარი ოთახი, კომპიუტერი და დაგეგმოს სტუდენტებთან მუშაობა ისე, როგორც ეს სასწავლო პროცესისთვის იქნება უკეთესი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში პროფესორები მეტად ჩაერთონ ადმინისტრაციის, კომისიებისა თუ საბჭოების მუშაობაში და ეს მოხდეს გარკვეული როტაციის პრინციპით. დღეს ისე ხდება, რომ ერთი და იგივე ადამიანი მუდმივად იკავებს ამ ერთეულებში ადგილს და, შედეგად, დეპარტამენტსა და ფაკულტეტზე მხოლოდ მან იცის — რა პროცესები მიმდინარეობს უნივერსიტეტში და განათლების სისტემაში, სხვა კი ვერ ერკვევა. გადაწყვეტილების მიღება კოლექტიურად უნდა ხდებოდეს და როცა როტაციის პრინციპი დამკვიდრდება, აკადემიურ პერსონალს უკვე ეცოდინება (საკუთარი გამოცდილებით) — რეალურად რაზეა საუბარი და რა როგორ მოწესრიგდეს უნივერსიტეტში.

პრევენციამ გაამართლა, თუმცა მცირეოდენი ხარვეზები მაინც დაფიქსირდა

ვითარება აკადემიური რეგისტრაციის მიმდინარეობისას

თსუ-ში სტუდენტების აკადემიური რეგისტრაცია 9 სექტემბერს დაიწყო. ბაზა ფაკულტეტების მიხედვით ეტაპობრივად გაიხსნა. 10 სექტემბრის 10 საათიდან კი სტუდენტებს უკვე შეეძლოთ სხვა ფაკულტეტების მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების არჩევა. თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციით, აკადემიური რეგისტრაციის პირველმა დღემ, ტექნიკური თვალსაზრისით, ხარვეზების გარეშე ჩაიარა, პროგრამამ გამართულად იმუშავა და დეპარტამენტში სტუდენტების პრეტენზიებიც არ შესულა.

ტარიელ ზარანდია

ნატო ოგოლაძე

„აკადემიური რეგისტრაციის პროცესში, ტექნიკური თვალსაზრისით, არც ერთი პრობლემა არ ყოფილა. არ დაფიქსირებულა შეფერხება-შენელებაც კი, არც პროცესორზე და არც პროგრამაზე დაყოვნების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. არც პრეტენზიები მიგვიღია ბაზის შეფერხებასთან დაკავშირებით. სტუდენტებს, ასევე, შეეძლოთ შეფერხების გარეშე განეხორციელებინათ სწავლის საფასურის გადახდის პროცედურაც. როგორც ვნახეთ, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან რიგებიც არ ყოფილა", — განაცხადა IT დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტარიელ ზარანდიამ.

აკადემიური რეგისტრაციის პროცესი უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ შეაფასა და განაცხადა, რომ უნივერსიტეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების უმტკივნეულოდ წარმართვას, რადგან გასულ წლებში სტუდენტური პროტესტი ხშირად სწორედ ამ თემას უკავშირდებოდა.

„ჩვენ მოვახერხეთ, რომ 2014 წლის გაზაფხულზე, სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციის გავლის პრობლემა მოგვეგვარებინა. ახლაც, ყოველდღიურ რეჟიმში ვიღებ ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს ამჟამად აკადემიური რეგისტრაცია და, რამდენადაც ინფორმირებული ვარ, ჯერჯერობით პრობლემა არ შექმნილა. ჩვენთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მართალია ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამა თუ იმ ფაკულტეტზე ხარვეზები გამოჩნდეს, მაგრამ გუნდი, რომელიც ამ რეგისტრაციას აწარმოებს, მობილიზებულია. თუ ვინმე თავს ვერ გაართმევს — საგნების არჩევის პროცედურამ სტუდენტებისთვის უპრობლემოდ ჩაიაროს, მას პასუხი მოეთხოვება", — აღნიშნა რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ ჩვენთან საუბარში.

აკადემიური რეგისტრაციის პროცესში მცირე შეფერხება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მაინც დაფიქსირდა. პრობლემები, ძირითადად, იმ სტუდენტებს შეექმნათ, რომლებმაც ზაფხულში მიმდინარე წინასწარი აკადემიური რეგისტრაცია არ ან ვერ გაიარეს და რომლებსაც გარკვეულ საგნებზე კვოტები უკვე შევსებული დახვდათ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ხარვეზები, ძირითადად საგნების არჩევასთან დაკავშირებით, წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის დროსაც არსებობდა.

„პირველ დღეს ბაზას გადატვირთვის გამო ტექნიკური ხარვეზებიც ჰქონდა და საგნებს არ ხსნიდა — გარკვეული სახის ინფორმაცია არასწორად იყო მოცემული. აკადემიური რეგისტრაციის მეორე დღეს უნივერსიტეტში მოსვლისა და ტუტორების დახმარების გარეშე ვერც ერთი საგანი ვერ ავირჩიე. საგნებზე კვოტებიც მალევე შეივსო. ცუდად იყო ორგანიზებული წინასწარი აკადემიური რეგისტრაციაც, რადგან, როდესაც ეს წინასწარი რეგისტრაცია დაიწყო, ჩვენ ჯერ კიდევ იმ საგნების გამოცდებს ვაბარებდით, რომლებიც ახალი ასარჩევი საგნების წინაპირობა გახლდათ. გამოცდების დასრულების შემდეგ კი კვოტები უკვე შევსებული დაგვხვდა", — ამბობს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ნანა ხარაბაძე.

„როდესაც წინასწარი რეგისტრაცია დაიწყო, ჯერ კიდევ გამოცდაზე ვიჯექი. არ ვიცოდი, რომ მაშინაც დასწრებაზე იქნებოდა საგნების არჩევა. ამ სემესტრში ერთ-ერთი სავალდებულო საგნის არჩევაც ვერ მოვახერხე, რადგან ადგილები ძალიან მალე შეივსო", — გვითხრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა სალომე დემეტრაშვილმა.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა აკადემიური რეგისტრაციისას წარმოქმნილი პრობლემების შესახებ სოციალურ ქსელში (www.facebook.com) გახსნილ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჯგუფშიც გაავრცელეს ინფორმაცია. სტუდენტების პრეტენზიები ლექტორების მხრიდან ლექციების დაწყების დროის ცვლილებებსაც უკავშირდებოდა, რაც საგნების დამთხვევის პრობლემას ქმნის.

კომენტარებს თსუ-ის რექტორის თანაშემწე გიორგი ბენაშვილი გამოეხმაურა, რომელმაც სტუდენტებს პრობლემის მოგვარების კონკრეტულ საშუალებებზე მიუთითა.

„როგორც პოსტებიდან ჩანს, ხარვეზები მდგომარეობს შემდეგში: 1. არ გაიხსნა ბაზა. პასუხად მინდა გითხრათ, რომ ბაზა გახსნილია და სტუდენტები ირჩევენ საგნებს. თუ თქვენ არ გადაგიხდიათ თანხა, ან გვიან გადაიხადეთ, მაგალითად გუშინ, მაშინ შეგიძლიათ ქვითრით მოხვიდეთ პირველი კორპუსის №019 აუდიტორიაში და ბაზას გაგიხსნიან. 2. ბაზაში საგნები არ ჩანს. ამ პრობლემაზე ასე გიპასუხებდით: წინასწარი რეგისტრაცია, რომელიც ივლისში იყო, გაიარა ნახევარზე მეტმა სტუდენტმა, იმ დროს არჩეული საგნები კი დღეს თავისით გადმოვიდა ბაზაში. ვინც წინასწარი რეგისტრაცია არ გაიარა და არ გაეხსნათ საგნები, ან გაეხსნათ და მაშინვე გაიგეს, რომ თავისუფალი ადგილები აღარ არის — ამ პრობლემის მოსაგვარებლად უნდა მივიდნენ მათი მიმართულების ტუტორებთან და ისინი დაუმატებენ ადგილებს. 3. ლექციების დაწყების დრო შეიცვალა. გეთანხმებით, რომ ზოგმა ლექტორმა წინასწარი რეგისტრაციის დროს განსაზღვრული დრო შეცვალა. ეს ლექტორმა გააკეთა და არც თსუ-ის ბრალია და მით უმეტეს არც ბაზის. ასე რომ, პრობლემა ლექტორთან მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყვიტოთ", — აღნიშნა გიორგი ბენაშვილმა.

თსუ-ში აკადემიური რეგისტრაცია 15 სექტემბერს დასრულდა. ტრადიციულად ხმაურიანმა პროცესმა ამჯერად მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. პრეტენზიის მქონე სტუდენტთა საყვედურებს, რაც სასწავლო წლის დასაწყისში გამოითქმება, იმედია, ფაკულტეტების ადმინისტრაციული პერსონალი მომავლისთვის გაითვალისწინებს.

რაში გამოიხატება თსუ-ის ლიდერობა?

ოფიციალური მონაცემებით გამყარებული დასკვნები

მაია ტორაძე



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2014-2015 სასწავლო წელი წარმატებით დაიწყო, რასაც მოწმობს აბიტურიენტთა არჩევანი და ჩარიცხულ პირველკურსელთა რაოდენობა.

ოფიციალური მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველ კურსზე მიიღო 4230 სტუდენტი. გამოცხადებულ ვაკანსიებზე (4378 ადგილი) შეუვსებელი დარჩა მხოლოდ 148 ადგილი, რომელშიც მხოლოდ 29 ვაკანსიაა აკადემიურ პროგრამებზე (18 ადგილი ფიზიკის მიმართულებაზე, 11 ადგილი ტურიზმის მიმართულებაზე), ხოლო 119 — ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. მიუხედავად დარჩენილი ვაკანსიებისა, თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ თსუ აბიტურიენტების ჩარიცხვების მიხედვით კვლავ პირველია, რადგან მაჩვენებლები ყველა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გაუსწრო.

რას შეეხება დარჩენილ ვაკანსიებს, მისი თქმით, უნივერსიტეტისთვის, რომელსაც ტრადიციულად მაღალი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აქვს დაწესებული, 29 ვაკანსია აკადემიურ პროგრამებზე დიდი ტრაგედია არ არის, მით უფრო იმ ფონზე, როცა სხვა უნივერსიტეტებში ეს ციფრი 2000-ზე მეტიც კია: „წელს ძალიან დიდი კონკურსი იყო ყველა უნივერსიტეტში, მაგრამ 22 ათასი აბიტურიენტი მაინც დარჩა უმაღლესი სასწავლებლის მიღმა. ეს გამოიწვია იმან, რომ შეფასების და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21+1-დან 25+1-მდე გაზარდა. ამ ფონზე, კიდევ უფრო სოლიდურად გამოიყურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ზღვარი, რომელიც 30-40-ს ზემოთაა. ამას აქვს თავისი წინაპირობა — უნივერსიტეტს სურს, მხოლოდ მაღალი მოსწრების მქონე აბიტურიენტი მიიღოს, რაც ხარისხიანი სწავლისა და სწავლების გარანტიაა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ფიზიკის მიმართულებაზე გამოცხადებულ 100 ადგილზე, სადაც თსუ-ის მიერ დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გახლდათ: ზოგად უნარებში 35+1, მათემატიკაში 45+1, ხოლო ფიზიკაში – 30+1, 18 ვაკანსია დარჩა. ჩვენ შეგვეძლო მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა შეგვემცირებინა თავიდანვე, რადგან 100 სტუდენტი ფიზიკის მიმართულებაზე არ გვჭირდება, მაგრამ აქ გარკვეული პოლიტიკაც თამაშობს დიდ როლს. მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები პრიორიტეტულ დარგებად მიიჩნია და მასზე სწავლა უფასოდ გამოაცხადა. ამდენად, სახელმწიფო ბიუჯეტი უნივერსიტეტს კვოტით გათვალისწინებულ 100 ადგილზე უხდის თანხას. ჩვენ შეგნებულად არ ვამცირებთ მოთხოვნილ ვაკანსიებს, რადგან ჩამორიცხულ თანხას პირდაპირ ვამისამართებთ სამეცნიერო კვლევებზე. ამის უფლება გვაქვს“, — განაცხადა თამარ ვეფხვაძემ ჩვენთან საუბარში.

ანალოგიური ახსნა აქვს ტურიზმის მიმართულებაზე დარჩენილ 11 ვაკანსიასაც. აქ უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იყო: ქართულ ენაში – 30+1; ზოგად უნარებში – 30+1, მათემატიკაში 30+1. თანაც უნივერსიტეტი იმპერატიული 4 საგნის ნაცვლად 5 საგნის ჩაბარებას ითხოვდა. „მაღალი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის უნივერსიტეტის პრინციპი. არც ერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელს არ გაუკეთებია განაცხადი ამ ზღვარის აწევაზე, ჩვენ კი, მიუხედავად კონკურენციისა, ყოველ წელს ვზრდით მას, რადგან, მიგვაჩნია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ლიდერი რეგიონის საგანმანათლებლო ბაზარზე და მისი რეიტინგი ამის საფუძველს გვაძლევს“, — აღნიშნა ქალბატონმა თამარმა.

რაც შეეხება ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, აქ ვაკანტური დარჩა 119 ადგილი. მათ შორის 39 — აფხაზურენოვანი და 80 სომხურენოვანი ახალგაზრდებისთვის (აზრბაიჯანულენოვანთათვის გამოცხადებულ 197 ადგილზე უნივერსიტეტმა 201 სტუდენტი მიიღო). „ამასაც აქვს თავისი ობიექტური წინაპირობა, — ამბობს თსუ-ის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი — ჩვენ აქაც შეგვეძლო გონივრულ რაოდენობაზე დაგვეყვანა მისაღები კონტინგენტის რიცხვი, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დირექტივით, აუცილებელია, რომ საერთო მისაღები რაოდენობის 5-5 % გამოვაცხადოთ სომხურ და აზერბაიჯანულენოვანებისთვის, ხოლო 1 % – აფხაზურენოვანებისთვის. გესმით, ალბათ, რომ ეს გარკვეულად სახელმწიფო პოლიტიკაა და ჩვენ მას ვემორჩილებით“, — აღნიშნა თამარ ვეფხვაძემ.

ყველაზე მეტი სახელმწიფო დაფინანსება თსუ-ში ჩარიცხულმა სტუდენტებმა მიიღეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სახელმწიფო დაფინანსებით ჩარიცხული სტუდენტების მაჩვენებლებითაც ლიდერია. წელს ჩარიცხული პირველკურსელებიდან 510-ს აქვს 100 %-იანი სახელმწიფო დაფინანსება. ამათგან ყველაზე მეტი – 165 სტუდენტი მოხვდა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე; 112 – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე; 56 – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე; 51 – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე; 25 — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ჩარიცხულ პირველკურსელთაგან 722 ფლობს 70-პროცენტიან გრანტს, ხოლო 1734 – 50 პროცენტიან დაფინანსებას.

გარდა ამ მაჩვენებლებისა, თსუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დალი კანდელაკმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში დასრულებულია შიდა და გარე მობილობის პროცესიც. შიდა მობილობით 129 სტუდენტი გადავიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, 42 — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე (დამატებით, 61 — ტურიზმის მიმართულებაზე), 28 — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 56 — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ხოლო 4 — მედიცინის ფაკულტეტზე. გარე მობილობაზე უნივერსიტეტმა 137 თანხმობა გასცა.

ახლო მომავალში სახელმწიფო უნივერსიტეტების განვითარების ფონდის შექმნა იგეგმება

თამარ სანიკიძე

სახელმწიფო უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსების გაზრდის თემაზე თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა თანამდებობაზე არჩევის დღიდან საუბრობს და ამის აუცილებლობას ხშირად ასაბუთებს. „ჩვენ გვჭირდება ფული, რომელსაც უნივერსიტეტი მიიღებს სტაბილური განვითარებისთვის. ჩვენ ვართ უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებელი და ვერ დავაწესებთ სწავლის სხვა საფასურს იმ 2250 ლარის გარდა, რაც სახელმწიფომ დააწესა. ეს არის ის მაქსიმალური დაფინანსება, რაც უნდა მოიტანოს სტუდენტმა იმის მიუხედავად, რომელ ფაკულტეტზე სწავლობს იგი. არადა ფაკულტეტები ერთმანეთისგან ხარჯიანობითაც განსხვავდებიან. მაგალითად, ბიოლოგის, ქიმიკოსის, ფიზიკოსის მომზადება უფრო ძვირია (ამ ფაკულტეტისთვის ლაბორატორიების მოწყობაა საჭირო), ვიდრე იურისტის ან ეკონომისტის, ექიმის მომზადება კიდევ უფრო ძვირია... ანუ ყველა ფაკულტეტის სტუდენტისგან ერთი და იგივე საფასურის გადახდა, ბუნებრივია, არაადეკვატურია. სწავლის გადასახადის გაზრდა კი ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობისთვის მძიმე იქნებოდა. ამიტომ, უნივერსიტეტმა რომ იარსებოს, სწორედ ამისთვის არის საჭირო — მას ჰქონდეს რაღაც რესურსი, რასაც მაქსიმალურად წარმართავდა იმ ფაკულტეტებზე, სადაც ფინანსები შედარებით მცირეა ამ ფაკულტეტების ხარჯიანობის გამო”, — ასეთია რექტორის მოსაზრება. ამ საკითხს მაისის თვეში სტუდენტებიც აქტიურად გამოეხმაურნენ და სახელმწიფო დაფინანსების გაზრდის მოთხოვნით უნივერსიტეტის ეზოში საპროტესტო აქციაც გამართეს. როგორც რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა აცხადებს, ამ პრობლემასთან დაკავშირებით მას მინისტრის ერთერთ მოადგილესთან აგვისტოში შეხვედრაც ჰქონდა, თუმცა, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის — რას აპირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. როგორც ჩვენთან საუბარში განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა, ახლო მომავალში იგეგმება სახელმწიფო უნივერსიტეტების განვითარების ფონდის შექმნა, რომელიც სხვადასხვა პროექტებსა თუ ინიციატივებს დააფინანსებს. ამის თაობაზე უფრო ვრცლად გვექნება საუბარი გადაცემაში — „უნივერსიტეტი“, რომელიც 20 სექტემბერს 5 საათზე გავა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში.



თსუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებენ თუ არა უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლების დასახმარებლად საჭირო თანხას?

თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას ინიციატივით, უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლებისთვის სოციალური სახის დახმარების გაწევის უფლების მოსაპოვებლად, საქართველოს პარლამენტში შესაბამისი წინადადება შევიდა. როგორც ლადო პაპავა აღნიშნავს, სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენის თხოვნით მას არაერთი ყოფილი პროფესორი მიმართავს, თუმცა დღემდე არ არსებობს სამართლებრივი ბერკეტი მსგავსი დახმარების გაწევისთვის.

„პარლამენტში შევედით საკანონმდებლო წინადადებით (ინიციატივის უფლება არ გვაქვს), რომ განათლების კანონში გაჩნდეს ჩანაწერი — სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს მიეცეთ უფლება, რომ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან ნაწილი მიმართონ თსუ-ის ყოფილი თანამშრომლების სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ყოფილი თანამშრომლებისთვის, არამედ დღეს მოქმედი თანამშრომლებისთვისაც, რადგან ისინიც გახდებიან ოდესმე „ყოფილები”. მოგეხსენებათ, ზოგს სამკურნალოდ სჭირდება თანხა და ჯანმრთელობისთვის სათანადო დახმარების აღმოჩენა, ზოგს კი სხვა სახის თანადგომა ესაჭიროება. მე ხშირად მომდის ასეთი სახის წერილები და, სამწუხაროდ, ხელ-ფეხ შეკრულები ვართ, რათა დავეხმაროთ მათ. ამიტომ, ამ უფლების მოპოვების მიზნით, წინადადებით მივმართეთ პარლამენტს და ჩვენი ეს თხოვნა უკვე განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ინიციატივად ჩამოყალიბდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შემოდგომაზე პარლამენტი ამ საკითხზე იმსჯელებს და გადაწყვეტილებასაც მიიღებს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე ვანო კიღურაძე მოწადინებულია, რომ ამ ინიციატივას პარლამენტმა მხარი მალე დაუჭიროს. „თუ პარლამენტი ამ საკანონმდებლო წინადადებას თავის დროზე მიიღებს, ჩვენ შევძლებთ ამის ასახვას 2015 წლის ბიუჯეტში და დახმარება გაიცემა იმ სპეციალური წესის თანახმად, რომელსაც უნივერსიტეტი შეიმუშავებს“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

უნივერსიტეტში დემოგრაფია „დაბრუნდა“

დიდი და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, წელს, პირველად, უნივერსიტეტის მაგისტრატურაში გამოცხადდება მიღება დემოგრაფიის მიმართულებით. „ჩვენ ხელს შევუწყობთ ამ მიმართულების განვითარებას, რომელიც, სამწუხაროდ, ბოლო წლებში უნივერსიტეტიდან განიდევნა. არადა, მოგეხსენებათ, დემოგრაფიული პრობლემები ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია თანამედროვე საქართველოში. ეს მსოფლიო პრობლემაა, რაც ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდება. ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტი იყო დემოგრაფიის „დაბრუნება” თსუ-ში და აი, წელს გვექნება მაგისტრატურაში მიღება. ჩვენ უკვე ჩავატარეთ შესაბამისი კონკურსი და ავირჩიეთ აკადემიური პერსონალი. ასე რომ, სტუდენტებს ახალი პროგრამის დაუფლების შესაძლებლობა მიეცემათ“, — აღნიშნავს თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა.

მოამზადა **ნინო კაკულია**

სამომავლო გეგმები ახალი სასწავლო წლიდან

2014-15 სასწავლო წელი ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდება. ახალი ინიციატივებისა და გეგმების განხორციელებაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, როგორც წესი, ახალი სასწავლო წლიდან ზრუნავს. იხვეწება და მზადდება განახლებული სასწავლო პროგრამები, რათა პროცესი უფრო სრულყოფილი და საინტერესო გახდეს. სიახლეებია ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივაც: გარემონტდა და შეკეთდა ათეულობით აუდიტორია და საკონფერენციო დარბაზი. დაიგეგმა მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, უცხოელი პროფესორების ვიზიტები და ინტენსიური სალექციო კურსები.



სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

თამარ მახარაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— 2014 წლის შემოდგომის სემესტრს განახლებული სასწავლო პროგრამებით ვხვდებით. სამაგისტრო პროგრამებს დაემატა 2 ახალი პროგრამა: „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ და „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“. ამ პროგრამების მიმართ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიჩინეს მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველებმა: ამჟამინდელი მონაცემებით, 290 ვაკანტურ ადგილზე 623 განცხადება მივიღეთ.

ამ სემესტრში მაგისტრანტებს მოწვეული უცხოელი ლექტორები ლექციების კურსს შესთავაზებენ.

დავხვეწეთ და მრავალფეროვანი გავხადეთ ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამები — ახალი საგნები თითქმის ყველა მიმართულებას დაემატა.

შემოდგომის სემესტრისთვის თითოეულმა მიმართულებამ, ფაკულტეტზე არსებული მთარგმნელობითი პროექტის ფარგლებში, მოამზადა საკითხავი მასალა — ე.წ. ჰენდაუთები, რომელიც აიტვირთა ბაზაში. ასევე საუნივერსიტეტო მთარგმნელობითი პროექტის ფარგლებში დაიწყო წიგნების თარგმნაც.

ისევე, როგორც სხვა ფაკულტეტებზე, ჩვენთანაც შეიქმნა სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, სადაც მსურველები უკვე დარეგისტრირდნენ. რეგისტრაცია კვლავ ღიაა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია — ნებისმიერ დროს შემოგვიერთდეს. ეს სიახლე სამეცნიერო წრეებში აქტიურად ჩართვას უზრუნველყოფს.

თსუ-ში იქმნება ახალი — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. შემოდგომაზე მოხდება შესაბამისი სპეციალობის პროფესორებისა და სტუდენტების გადაყვანა ახალ ფაკულტეტზე. ეს პროცესი დაგეგმილად და თანმიმდევრულად მიმდინარეობს, შესაბამისად, არავითარ პრობლემას არ ველით.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე

რამაზ ბოჭორიშვილი,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საკონკურსო ქულით 29 სტუდენტი ჩაირიცხა. პირველი 9 ადგილი ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს უკავიათ. იზრდება კონკურენცია იმ საბაკალავრო პროგრამებზე, რომლებიც 100%-ით ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. იმედი გვაქვს, სამეცნიერო კვლევებში უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება, რაც, გარკვეული თვალსაზრისით, სწავლების დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ამ პროცესს უფრო ეფექტურს გახდის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა — „ათასწლეულის გამოწვევის“ ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი. ამერიკელ კოლეგებთან ერთად იგეგმება ჩვენი პერსონალის მივლინება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ასევე ვგეგმავთ სასწავლო კურსების არტიკულაციის პროცესს და ვიმედოვნებთ, რომ, საჭიროებიდან გამომდინარე, მოხდება ზოგიერთი ჩვენი სასწავლო კურსის ისეთი მოდიფიკაცია, რომ იგი თავსებადი გახდეს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის კურიკულუმთან. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი პროგრამების ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისო აკრედიტაციისთვის მომზადების თვალსაზრისით.

ფაკულტეტზე, ტრადიციულად, მაღალი ინტერესია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მიმართ.

2014-15 სასწავლო წელს ქიმიის, ფიზიკის და ელექტრული ინჟინერიის ლაბორატორიები გარემონტდება და თანამედროვე ხელსაწყოებით აღიჭურვება;

2014 წლის მიღწევები შემოდგომის სემესტრის დასრულების შემდეგ საფაკულტეტო კონფერენციაზე შეჯამდება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

თეიმურაზ ბერიძე,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი:

— ახალი სასწავლო წლიდან დაგეგმილი გვაქვს ფაკულტეტის ახალი დებულების მიღება და სტრუქტურული ოპტიმიზაცია; ასევე, სასწავლო პროგრამების სრულყოფა და სწავლების ხარისხის თვისებრივი გაუმჯობესება. სასწავლო პროგრამების ხარისხის ამაღლების მიზნით ვგეგმავთ უცხო ენაზე გამოცემული თარგმნილი სახელმძღვანელოების სასწავლო პროცესში დანერგვას. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ეცდება — ხელი შეუწყოს ახლად შექმნილ პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის განვითარებას. სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკები სისტემური ხასიათის გახდება. უნდა ვიზრუნოთ საბიბლიოთეკო ფონდის შევსებაზეც.

რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, იგი უნდა გაძლიერდეს და უფრო კოორდინირებული გახდეს. უნდა ამაღლდეს სადისერტაციო საბჭოს როლი სამეცნიერო ნაშრომების შეფასებებში. აქტიურად ვიმუშავებთ უცხოური და ეროვნული გრანტების მოზიდვის თვალსაზრისითაც.

ფაკულტეტის საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარება და გაღრმავება, ასევე, უცხოელი ლექტორების მოწვევა ლექციების კურსების წასაკითხად (მაგალითად, სექტემბრის ბოლოს ფაკულტეტს ეწვევა ცნობილი პოლონელი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე გჟეგოშ კოლოდკო). დაგეგმილია ღონისძიებები სტუდენტთა გასააქტიურებლადაც — სულ უფრო მეტი სტუდენტი უნდა მოვიზიდოთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. გაიზრდება საზღვარგარეთ მივლინებულ სტუდენტთა რიცხვიც.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

დარეჯან თვალთვაძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— გვინდა, ახალი სასწავლო წელი ორგანიზებულად დავიწყოთ. წელს კიდევ უფრო დაიხვეწა სტუდენტთა ელექტრონული სასწავლო ბაზის ადმინისტრირება, რასაც თსუ-ის IT სამსახური უზრუნველყოფს. ვფიქრობთ, იგი გაცილებით კარგად ორგანიზებულია.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი წელს 765 პირველკურსელს ელოდება, თუმცა, მთელი საქართველოს მასშტაბით, 9024 აბიტურიენტმა გამოთქვა სურვილი — ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარიყო. ჩვენმა უნივერსიტეტმა, ბოლო 3 წელიწადია, ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაზარდა, რამაც კარგი შედეგი გამოიღო და, სავარაუდოდ, მომავალ წელს ეს ზღვარი კიდევ უფრო აიწევა. საკმაოდ მაღალი შეფასების მქონე პირველკურსელები გვყავს. მათ შორის 200 სტუდენტი ქართული ფილოლოგიის პროგრამაზე ისწავლის. საკმაოდ მაღალი კონკურსი იყო ისტორიის, არქეოლოგიის, ფილოსოფიის პროგრამებზე.

სასწავლო პროგრამების მხრივაც სიახლე გვაქვს: წელს ახალი, აკრედიტებული სადოქტორო პროგრამა გვაქვს — არქეოლოგია და პალეონთროპოლოგია. პროგრამამ ისე გაიარა აკრედიტაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომ არც ერთი შენიშვნა არ მიგვიღია. მისი ხელმძღვანელი გახლავთ პროფესორი ვახტანგ ლიჩელი, თანახელმძღვანელი — ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე. აღნიშნულ პროგრამაზე დოქტორანტებს წელს პირველად მივიღებთ.

აქტიურად ვმუშაობთ რამდენიმე ახალ საბაკალავრო პროგრამაზეც. სურვილი გვაქვს — მომავალი სასწავლო წლიდან უცხოელ სტუდენტებს საქართველოსა და კავკასიის რეგიონის შესახებ ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამა შევთავაზოთ. „ტემპუსის“ პროგრამის ფარგლებშიც ვაგრძელებთ მუშაობას 2 ახალ პროგრამაზე, რომელიც 2015 წელს დასრულდება.

სწავლის პარალელურად, სამეცნიერო საქმიანობასაც ვააქტიურებთ. ახალი სასწავლო წლის პირველი ორი თვის განმავლობაში ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დაგეგმილი: ვუმასპინძლებთ რამდენიმე მასშტაბურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, სადაც მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი კოლეგები და მომხსენებლები.

ვგეგმავთ რამდენიმე უცხოელი პროფესორის მოწვევას, რომლებიც ქართველ სტუდენტებს ლექციების ინტენსიურ კურსს შესთავაზებენ. ასევე ტრადიციულად გაიმართება „ზამთრის სკოლა“ ციფრულ ფილოლოგიაში, რომელსაც პროფესორი ირინე დარჩია ხელმძღვანელობს. ციფრული ფილოლოგია ჰუმანიტარული კვლევების სულ ახალი დარგია და გვინდა — მალევე დამკვიდრდეს ჩვენს აკადემიურ სივრცეში. დიდია სტუდენტების ინტერესი ამ სკოლების მიმართ და იგი კარგ შედეგებს იძლევა. ასევე, გაგრძელდება სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკები და ექსპედიციები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მის საზღვრებს გარეთ. ამჟამად ორი ექსპედიცია თურქეთში მუშაობს...

განახლდა ფაკულტეტის მატერიალური ბაზაც: VIII კორპუსში გარემონტდა და ტექნიკურად აღიჭურვა სააქტო დარბაზი, რომელიც სამეცნიერო კონფერენციებისთვის არის განკუთვნილი. ამავე კორპუსში შეკეთდა რამდენიმე სასწავლო აუდიტორიაც. V კორპუსშიც გარემონტდა რამდენიმე აუდიტორია და, ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობა გვაქვს.

ჩვენს ფაკულტეტზე ახალი სასწავლო წლიდან ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიას ვაწესებთ. წელს პირველად გამოვლინდება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სტიპენდიის მფლობელი ბაკალავრი, მაგისტრი და დოქტორანტი. 5 ოქტომბერს უკვე გვეცოდინება — ვინ გახდება ამ სტიპენდიის მიღების კანდიდატი. სტიპენდია დაწესდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში და იგი წარჩინებულ სტუდენტებს საზეიმოდ გადაეცემათ.

იურიდიულ ფაკულტეტზე

ირაკლი გურდული,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

— იურიდიული ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს კარგად ორგანიზებული ხვდება. ადმინისტრაციული რეგისტრაცია უმტკივნეულოდ მიმდინარეობს როგორც პირველ, ისე უფროსკურსელთათვის. რაც შეეხება სტუდენტთა ინდივიდუალური ცხრილების ფორმირებას, ჩვენ საამისოდაც ყველა მოსამზადებელი სამუშაო გეგმაზომიერად და წარმატებით შევასრულეთ.

ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ფაქტორი სტუდენტებთან ინტენსიური კავშირი, მათი მოსაზრებების გათვალისწინებაა. რა თქმა უნდა, პროგრამულ მოთხოვნებს გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ სწავლების თემატური, საგნობრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას სტუდენტების პოზიციას ყოველთვის ვიღებთ მხედველობაში. აღსანიშნავია, რომ

მე-5 გვერდზე

სამომავლო გეგმები ახალი სასწავლო წლიდან

მეოთხე გვერდიდან

იურიდიულ ფაკულტეტს მაგისტრატურის საფეხურზე თითქმის არ ჰყავს დაუსაქმებელი სტუდენტები, რაც კარგი საბაკალავრო ბაზის არსებობაზე მეტყველებს. სწორედ ამას უკავშირდება არა ერთი საპროცესო სასწავლო კურსის ამოქმედება საბაკალავრო პროგრამაზე, სამართლის ყველა ძირითად დარგში. ამ საგნების სწავლებისთვის ჩვენ გარემო-აღჭურვილობაც შესატყვისი გვაქვს და იმიტირებული სასამართლო დარბაზიც დიდი დატვირთვით ფუნქციონირებს. გარდა ამისა, ხაზგასასმელია პროფესიული ენის სწავლება იურიდიულ ფაკულტეტზე — ჩვენს სტუდენტებს სამართლის გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ დარგობრივ ენას საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები ასწავლიან. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს არჩევითი იურიდიული დისციპლინების წასაკითხად მსოფლიოში აღიარებული პროფესორები მოვიწვიოთ. ასეთ ვიზიტს სემესტრის განმავლობაში რამდენჯერმე ვმასპინძლობთ.

ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები – „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია — საქართველო“ და „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი“ სტუდენტებს ამ წელსაც არაერთ აკადემიურ თუ სოციალურ ღონისძიებას ჰპირდება.

იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს ახალი პარტნიორული კონტაქტების დასამყარებლად. შემოდგომაზე უკვე დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიება უცხოელ კოლეგებთან ერთად. სამომავლო გეგმების დახვეწაზეც აქტიურად ვმუშაობთ. ყველა ამ სიახლის შესახებ საზოგადოებას ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით ვაცნობებთ. თქვენი გაზეთის მკითხველს კი შემიძლია ვაუწყო ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაგეგმილი ქართულ-გერმანული (ზაარლანდის უნივერსიტეტი) კერძოსამართლებრივი სამეცნიერო კოლოქვიუმის ჩატარების შესახებ. ამავე თვის შუა რიცხვებში გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია სამართლის ისტორიის საკითხებზე, რომელსაც პოლონელ კოლეგებთან (ოლშტინის უნივერსიტეტი) ერთად ვამზადებთ. საყურადღებოა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი თსუ-სა და შპაიერის უნივერსიტეტის (გერმანია) ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელსაც, შესაბამისი სამუშაო პროცესის დასრულების შემდეგ, საზეიმოდ გავაცნობთ ყველას.

მედიცინის ფაკულტეტზე

ალექსანდრე ცისკარიძე,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, ზაფხულში რამდენიმე მიმართულებით გავაძლიერეთ საქმიანობა. ესენია: კურიკულუმის ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა, სიმულაციური ცენტრის ამოქმედებისათვის მზადება, კლინიკური უნარ-ჩვევებისა და კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, პერსონალის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო ურთიერთობების გაგრძელება.

მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საბაზო სამედიცინო განათლების კურიკულუმი უკვე მოიცავს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის ელემენტებს; მიმდინარე სასწავლო წელს გაგრძელდება სწავლება სისტემებზე დაფუძნებული პროგრამით ისეთი სასწავლო კურსების დამატებით, როგორიცაა „კლინიკური აზროვნების საფუძვლები“ და „კვლევის უნარები“. „კლინიკური აზროვნების საფუძვლების“ სასწავლო კურსის ფარგლებში მომზადდა და ლიდსის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) იბეჭდება დამხმარე მასალა, რომელიც ფაკულტეტს სექტემბრის ბოლოს გადაეცემა. მოცემული სასწავლო კურსისათვის გაფართოვდა კლინიკური შემთხვევების ბაზა. გავაგრძელებთ მუშაობას კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე: განახლებული კურიკულუმით სტუდენტები ისწავლიან არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული ცვლილება განიცადა სისტემებზე დაფუძნებული მოდულების შეფასებამ. მიგვაჩნია, რომ ეს სისტემა უფრო მეტად არის ორიენტირებული სტუდენტზე და მაღალი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულების მომზადებაზე. ვაგრძელებთ სიმულაციური ცენტრის შექმნას, რაც ჩვენი ფაკულტეტის განვითარების უახლოეს მიზანს წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ გაიზარდა ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღებული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა.

16-17 ოქტომბერს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი უმასპინძლებს საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომელიც ეძღვნება ღვიძლისა და პანკრეასის გადანერგვის აქტუალურ საკითხებს. სიმპოზიუმი, რომელშიც საერთაშორისო ექსპერტები მონაწილეობენ, დაფინანსებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტით.

ამ შემოდგომაზე გამოვა თსუ-ისა და საქართველოს ექიმთა ასოციაციის მიერ დაფუძნებული ინგლისურენოვანი ელექტრონული ჟურნალის — „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა (საქართველოს სამედიცინო ჟურნალი)“ პირველი ნომერი.

13 სექტემბერს მაკედონიაში ხელი მოეწერება შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ჟურნალი ყოველწლიურად დაბეჭდავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექიმთა ფორუმის ყოველწლიურ კონგრესებზე წარდგენილ საუკეთესო ნაშრომებს.

ახალ სასწავლო წელს ფაკულტეტზე დაგეგმილია საბაზისო დისციპლინების ძირითადი კორპუსის (მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობის) კიდევ ერთი სართულის რეაბილიტაცია, ასევე, საუნივერსიტეტო კლინიკის შენობის აღდგენითი სამუშაოების დაწყება თსუ-ის პარტნიორების ძალისხმევით.

ვაპირებთ საინტერესო პროექტით წარვსდგეთ თბილისის მერიასა და საკრებულოში ჩვენი კლინიკისთვის მუნიციპალური კლინიკის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.



მოამზადა **თამარ დადიანმა**

ვისაც იდეები „აწუხებს“, მიმართოს სტუდენტურ თვითმმართველობას

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში სიახლეებია. შეიქმნა დამატებით ორი დეპარტამენტი — სტუდენტური უფლებების დაცვისა და ანალიტიკური, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობას გააანალიზებს და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს. რაც შეეხება სტუდენტური უფლებების დაცვის დეპარტამენტს, სტუდენტებმა ნებისმიერ დროს ონლაინ-რეჟიმში სპეციალური განაცხადის შევსების მეშვეობით შეუძლიათ მიმართონ მას და საკუთარი პრობლემის მოგვარება მოითხოვონ. სტუდენტური თვითმმართველობა მუშაობის გააქტიურებას გეგმავს საფაკულტეტო საბჭოებშიც. მთავარი პრიორიტეტი კი კვლავ განათლებისა და მეცნიერების მიმართულებაა. ახალი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის სამომავლო გეგმების დეტალებზე თვითმმართველობის პრეზიდენტს შალვა საბაურს ვესაუბრეთ.

შალვა საბაური

ნატო ოგოლაძე

— რა სიახლეებს სთავაზობთ სტუდენტებს? რას გეგმავთ ახალი სასწავლო წლიდან?

— ამ დროისთვის ყველა დეპარტამენტის სამუშაო გეგმა გაწერილია. მაგალითად, ტურიზმის დეპარტამენტი ისევ გეგმავს უფასო ექსკურსიებს პირველკურსელებისთვის, რაც მათ გაცნობასა და ერთმანეთთან დაახლოებას შეუწყობს ხელს. ავამოქმედეთ ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც სხვა დეპარტამენტების მუშაობას გააანალიზებს. ავამოქმედეთ სტუდენტების უფლებათა დაცვის დეპარტამენტიც. სტუდენტს, ვისაც სასწავლო პროცესთან დაკავშირებით რაიმე სახის პრობლემა შეექმნება, შეუძლია ონლაინ-რეჟიმში მოგვმართოს. უკვე შემუშავებულია სპეციალური განაცხადის ფორმა. შემოსული ინფორმაცია გაანალიზდება და თემატურად დახარისხდება. საჭიროების შემთხვევაში, თუ პრობლემა საუნივერსიტეტო მასშტაბის არის, მას თვითმმართველობის ბორდის წევრები განიხილავენ. ბორდი შეეცდება პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზებიც მოიძიოს.

— როგორ შეძლებენ თქვენთან თანამშრომლობას ის სტუდენტები, რომლებსაც იდეები „აწუხებთ“ და სხვადასხვა პროექტების განხორციელება სურთ?

— ჩვენ ვდებთ პირობას, რომ სტუდენტს, რომელსაც ექნება რაიმე ინიციატივა ან თუნდაც პრობლემა, ყველანაირად დავეხმარებით. სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობის პრინციპი ასეთია — ჩვენ ვეკუთვნით სტუდენტებს, რადგან თუ ამომრჩევლებს ის მოლოდინი არ გავუმართლეთ, რაც ხმის მიცემის პროცესში ჰქონდათ, მეორედ აღარ გვენდობიან. რაც შეეხება სტუდენტურ ინიციატივებს, თუ მათი პროექტი იქნება საუნივერსიტეტო ინტერესების მატარებელი, რა თქმა უნდა, განვახორციელებინებთ. გვქონია შემთხვევა, მოსულა სტუდენტი თსუ-ში „ჯოკერის“ ჩემპიონატის ჩატარების ინიციატივით. რეალურად კი უნივერსიტეტი, რომელიც დიდი ტრადიციის მატარებელია, ჯოკერის ჩემპიონატს ვერ ჩაატარებს. ინიციატივა ასევე არ უნდა იყოს მშრალი. პრაქტიკაში გვქონია შემთხვევა — მოსულა პირველკურსელი, რომელსაც ექსკურსიის მოწყობა სურდა 250 ადამიანისთვის, ამავე დროს არ ჰქონდა გეგმა, არ ჰქონდა გაწერილი საჭირო ტრანსპორტის რაოდენობა და არ ჰყავდა გუნდი, რომელიც ამ პროექტს სათავეში ჩაუდგებოდა. ასე რომ, ჩვენამდე სტუდენტი გამზადებული პროექტითა და კონკრეტული გეგმით უნდა მოვიდეს.

> შევეცდებით, რომ სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციები უფრო საინტერესო გავხადოთ. ამისთვის, უფრო ხშირად მოვაწყობთ გასვლით კონფერენციებს, რაც სტუდენტებისთვის დამატებითი სტიმულის მიმცემი იქნება.

მინდა, ასევე, სტუდენტებს მოვუწოდო, თუ რაიმე პრობლემა ექნებათ, აუცილებლად მოგვმართონ. შეუძლებელია, ჩვენ 20 000 სტუდენტის პრობლემების მოძიება პირადად შევძლოთ. შეუძლიათ მოვიდნენ, შეავსონ სპეციალური განაცხადი და ყველანაირად დავეხმარებით. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ სტუდენტური პრობლემების იდენტიფიკაციის მიზნით ვგეგმავთ სპეციალური კითხვარის გაკეთებასაც.

— ახალი მოწვევის თვითმმართველობა გეგმავდა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წესდების ცვლილებას. დაიწყეთ თუ არა მუშაობა ამ მიმართულებით?

— ამ სამუშაოს რაღაც ნაწილი უკვე დაწყებულია. მიმდინარეობს კანდიდატურების განხილვა — ვინ შეიძლება იყოს იმ სამუშაო ჯგუფში, რომელიც იმუშავებს ცვლილებების შეტანაზე. მათი შეკრება ვერ მოხერხდა აქამდე იმ მიზეზის გამო, რომ, მოგეხსენებათ, ზაფხული „მკვდარი“ პერიოდია და ყველა ქალაქს ტოვებს. ჩვენ შერჩეული გვყავს კომპეტენტური პირები როგორც სტუდენტებიდან, ასევე ადმინისტრაციიდან. ასე რომ, სწავლის დაწყებასთან ერთად შევიკრიბებით კიდეც და ძალიან მოკლე ვადაში წესდებაში ცვლილებების შეტანაზეც ვიფიქრებთ.

> გვინდა, სტუდენტებს შევთავაზოთ ჩემპიონატი ჯომარდოგაში, თუ თსუ-ის ადმინისტრაცია მოგვცემს დასტურს.

წლის საუკეთესო

თსუ-ის ფაკულტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებმა თითოეულ ფაკულტეტზე 2013-2014 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგები გამოავლინეს, როგორც ამას საუკეთესო ლექტორების წახალისების თაობაზე თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას ახალი ინიციატივა ითვალისწინებდა. რექტორის თქმით, მართალია, ამჯერად, გამოკითხვის სისტემა იდეალურად ვერ იქნა შემუშავებული და გამოყენებულმა მეთოდმა ხარვეზებიც გამოააშკარავა, მაგრამ გამოკითხვის შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ოფიციალურ მონაცემად სცნო და შედეგად გამარჯვებულებიც დასახელდნენ. ,,ვფიქრობ, ამ ხარვეზებს სჭირდება გამოსწორება და მომავალი წლისთვის დებულებაში გარკვეულ კორექტივებს შევიტანთ. თუმცა, ეს იდეა და ყოველწლიურად საუკეთესო პედაგოგების გამოვლენის ტრადიცია აუცილებლად უნდა დავამკვიდროთ, რათა უნივერსიტეტის პროფესორს, ლექტორს მეტი სტიმული მივცეთ გაზრდისთვის. მათი გამორჩეულობა კი ჩვენი შესაფასებელი და დასაფასებელი იქნება“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

2013-2014 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგები

2013-2014 სასწავლო წელს გამოვლენილ საუკეთესო პედაგოგებს თსუ-ის რექტორი შესაბამის სერტიფიკატს და ფულად პრემიას 15 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე გადასცემს

მაქვს სტუდენტებთან კომუნიკაციის ჩემეული ფორმა

ნანული დორეული — წლის საუკეთესო პედაგოგი მედიცინის ფაკულტეტიდან, პროფესორი:

— რას ნიშნავს თქვენთვის, იყო საუკეთესო პედაგოგი?

— ძალიან ბევრს, რადგან ვხვდები, რომ სტუდენტი ამ სახელის ქვეშ ირჩევს იმ ადამიანს, რომელიც, ცოდნასთან ერთად, კიდევ ბევრ სხვა ურთიერთობას სთავაზობს. ფაკულტეტზე ბევრი ღირსეული პედაგოგი გვყავს, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემი დასახელება ურთიერთობამ და სტუდენტებთან აქტიურმა კონტაქტმა განაპირობა. ჩემთვის სტუდენტის სიყვარული ბევრს ნიშნავს და ისინი ამას კარგად გრძნობენ. ძალიან გახსნილი ვარ მათთან, ვცდილობ, ყველანაირი ინფორმაცია დროულად მივაწოდო, ჩემი სამუშაო ოთახის კარებზე მუდმივად არის გამოკრული ინფორმაცია, რაც სტუდენტს სჭირდება სტუდენტური ცხოვრების გაადვილებისთვის. მათ არ აქვთ პრობლემა კონსულტაციებზე, მასალის მოძიებაზე — კომუნიკაციის ჩემეული ფორმა აძლევთ საშუალებას, რომ თხოვნით მომმართონ და მიიღონ შესაბამისი დახმარება. ამაში ხელი შემიწყო იმან, რომ 10 წელი ვიყავი დიუსელდორფის უნივერსიტეტში. უცხოეთში ცხოვრებამ უფრო თავისუფალი ურთიერთობები ჩამომიყალიბა.

ამჟამად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულებაზე ვმუშაობ. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები 4 სემესტრის განმავლობაში ბიოლოგიაში ძირითადად ფუნდამენტურ საგნებს გადიან, ამიტომ აქტიური კონტაქტი გვაქვს მედიცინის ფაკულტეტთან. მოხდა ისე, რომ სწორედ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა დამასახელეს წლის საუკეთესო ლექტორად, რაც სასიამოვნოა. ერთია, როდესაც საკუთარი ფაკულტეტის სტუდენტები გაღიარებენ და მეორე — როდესაც სხვა ფაკულტეტის სტუდენტები აფასებენ შენს ძალისხმევას.

ვასწავლი ნერვული სისტემის და ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგიას, ანუ შინაგანი ორგანოების ფიზიოლოგიას. ვარ ვიწრო სპეციალობით ნეიროფარმაკოლოგი, ორი დისერტაცია დავიცავი ნეიროფარმაკოლოგიაში — საკანდიდატოც და სადოქტოროც, გამოცდილება მაქვს ექსპერიმენტული მეცნიერების დარგშიც და ეს ხიბლავთ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს. სულ აქვთ მცდელობა — მიმდინარე კვლევებში აქტიურად შემოგიერთდნენ. ჩემი ხელმძღვანელობით ისინი ვირთაგვებზე აკვირდებიან სხვადასხვა ექსპერიმენტს, სხვადასხვა ცხოველურ მოდელებს (ეს არის შიზოფრენიის, ეპილეფსიის მოდელი) და ვასწავლით, თუ როგორ ხდება ამ მოდელების მიღება ცდაში, როგორ ხდება მათზე სხვადასხვა პრეპარატების ეფექტების შემოწმება... ეტყობა ამ კვლევებმა მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— რა პრობლემას წამოჭრიდით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე, რისი გადაჭრაც აუცილებლად მიგაჩნიათ?

— 21 საუკუნე ნეირობიოლოგიური კვლევის საუკუნედ დახასიათდა და ამ კვლევებზე მილიარდობით თანხები იხარჯება. მესმის, რამდენად ძნელია საქართველოსთვის ასეთ კვლევებს ფეხი აუწყო, მაგრამ იმდენი მაინც უნდა გაკეთდეს, მით უმეტეს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომ სტუდენტს ჰქონდეს რეალური განცდა, რომ იგი საერთაშორისო კვლევის მონაწილეა. ამისთვის საჭიროა მათ მიეცეთ საშუალება თანამედროვე მეთოდიკებთან ზიარებისა, ხოლო რასაც ჩვენ საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების ფარგლებში ვაკეთებთ და რასაც უნივერსიტეტი გამოყოფს, ძალიან მიზერულია.

ალბათ, უნდა ვთქვა აპარატურის შესახებაც. გვესმის, რომ ამისთვის დიდი თანხებია საჭირო. არსებული აპარატურის უმეტესობა მოძიებული გრანტებით გვაქვს შეძენილი. ეს გრანტი კი ყოველთვის ლატარიაა, ან მიიღებ, ან — არა და, როდესაც ამაზე ხარ დამოკიდებული, ძალიან რთულია. ამდენად, უნივერსიტეტისგან უფრო აქტიურ კომუნიკაციას ვითხოვთ. როცა ვამბობთ, რომ გვჭირდება ესა თუ აპარატურა ან დანადგარი, უნდა იყოს იმის საშუალება, რომ შევიძინოთ.

გარდა ამისა, კიდევ მეორე მძიმე მომენტი — მართალია, ძალიან მიყვარს სტუდენტებთან ურთიერთობა, მაგრამ არ შეიძლება, ჩემი დროის 99%-ს სტუდენტთან ურთიერთობას და აკადემიურ სწავლებას ვუთმობდე, რადგან ვხვდები, რომ ჩემი პროფესიული განვითარება თანდათან ფერხდება. ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს, ვარ მარტოხელა დედა და, იმის გამო, რომ თანხა მჭირდება, კონტრაქტი გავაფორმე უნივერსიტეტთან. ეს ნიშნავს, რომ 10 საათს ლექციაზე ვატარებ. ამ საათებში არ ითვლება არც სამაგისტრო და არც სადოქტორო შრომების ხელმძღვანელობისთვის გაწეული მუშაობა. არადა, ამას დიდი დრო მიაქვს და საკუთარ თავთან მუშაობაზე დრო თითქმის აღარ მრჩება.

ამგვარ საკითხებზე ქალბატონ მარინე ჩიტაშვილთანაც იყო შეხვედრები და იქაც ითქვა, რომ სამაგისტრო თემას ოფიციალურად აქვს 30 კრედიტი და როგორც ნებისმიერ კრედიტს, მასაც უნდა ჰქონდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რომელიც მუშაობაში ჩაგვეთვლება. შეგვპირდნენ, რომ ეს ყოველივე გამოსწორდება და ახალ რეალობას ჩვენც ველოდებით.

თუ საუკეთესო პედაგოგი ხარ, კიდევ მეტი უნდა გააკეთო, რადგან სტუდენტებიც და თანამშრომლებიც შენ მიმართ უფრო კრიტიკულნი იქნებიან

მანანა მელიქიშვილი — წლის საუკეთესო პედაგოგი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ფსიქოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი:

— როგორ ფიქრობთ, რა უნარ-ჩვევების გამო დაგასახელეს წლის საუკეთესო პედაგოგად?

— რთული კითხვა დამისვით, წარმოდგენა არ მაქვს... ეს ალბათ იმათ იციან, ვინც დამასახელა.

მე მიმყავს რამდენიმე კურსი ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, ვასწავლი განვითარების ფსიქოლოგიას, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიას, ვუძღვები ტრენინგის კურსებს.

— თქვენს სფეროში თუ არსებობს საკმარისი საჭირო ლიტერატურა, რომლითაც ხარისხიან ცოდნას აძლევთ სტუდენტებს?

— ლიტერატურა მეტნაკლებად გვაქვს, თუმცა მისი განახლება მუდმივად საჭიროა.. ზოგადად, ლიტერატურის პრობლემა ყველას გვაქვს, რადგან ქართულ ენაზე თარგმნილი სასწავლო წიგნების დეფიციტია. შესაბამისად, გვიწევს უცხოენოვანი ლიტერატურის სილაბუსში დასახელება, რაც, რა თქმა უნდა, პრობლემაა, მაგრამ ვცდილობთ — რიდერები გავაკეთოთ და ეს სიტუაცია გამოვასწოროთ. მაგალითად, წელს ლექციებზე შემაქვს ახალი ლიტერატურით გამდიდრებული რიდერი, რომლის წიგნად დაბეჭდვასაც მპირდებიან.

— როგორც ცნობილია, უნივერსიტეტში იქმნება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. როგორ უყურებთ ამ ფაქტს? რამდენად საჭირო და აუცილებელი იყო ამ მიმართულებების ცალკე ფაკულტეტად გამოყოფა?

— ეს ჩემთვის სასიამოვნო სიახლეა, რადგან მიმაჩნია, რომ ერთი ფაკულტეტის შიგნით უფრო მოხდება რესურსების მობილიზება, შეიქმნება ახალი პროექტები, ახალი პროგრამები და ეს ყველაფერი ფსიქოლოგებს უფრო გაგვაერთიანებს, რათა მეტი გავაკეთოთ.

— რას ნიშნავს თქვენთვის იყო საუკეთესო პედაგოგი?

— ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ერთი მხრივ, გამიხარდა ასეთი უკუკავშირი სტუდენტებისგან — ეს საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ სტუდენტებმა შრომა დააფასეს, მაგრამ, მეორე მხრივ, შეშინებული ვარ, რადგან თუ საუკეთესო პედაგოგი ხარ, კიდევ მეტი უნდა გააკეთო, რადგან სტუდენტებიც და თანამშრომლებიც შენ მიმართ უფრო კრიტიკულნი იქნებიან. ამიტომ, ვეცდები — მეტი ცოდნა მივაწოდო, მეტი საინტერესო კვლევა შევქმნა და უფრო დავუახლოვდე სტუდენტებს.

— რა პრობლემას ხედავთ უნივერსიტეტში? რა წინადადებებს გაუგზავნით რექტორატს და ადმინისტრაციას, რომ სწავლება უფრო ხარისხიანი გახდეს?

— მინდა, გონივრულ ვადებში დაიბეჭდოს სასწავლო ლიტერატურა. სამი წლის წინ მივიტანე წიგნი და მითხრეს, 5 წელიწადში დავბეჭდავთ, საუკეთესო შემთხვევაში 4 წელიწადშიო. ეს დიდი პერიოდია და ამ დროში ლიტერატურა უკვე ძველდება. სასურველია, უფრო სწრაფად იბეჭდებოდეს წიგნები. ასევე საჭიროა III კორპუსში მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა. ხშირად გამიგია პირველკურსელებისგან — როცა ამ კორპუსში შემოვდივართ, უნივერსიტეტში სწავლა აღარ გვინდაო. ეს მწყინს, რადგან უნივერსიტეტი ჩემია და ასე მგონია, ამას მე მეუბნებიან. აი, ეს პრობლემებია, რომლის გადაჭრასაც ვისურვებდი. მათი მოგვარება ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება.

ჩემი არჩევა, ალბათ, ჩემივე სპეციალობის პოპულარობამ განაპირობა

ივანე წერეთელი — წლის საუკეთესო პედაგოგი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ასოცირებული პროფესორი:

— ბატონო ივანე, თქვენ დაგასახელეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წლის საუკეთესო ლექტორად. თქვენი აზრით, რა უნარ-ჩვევების გამო გამოგარჩიეს სტუდენტებმა?

— პირველ რიგში დავიწყებ იმით, რომ სპეციალობა — კულტურის კვლევები, რომელსაც ვასწავლი, სხვა სპეციალობებთან შედარებით, ახალია. საქართველოში იგი, უნივერსიტეტის გარდა, ამ სახით არსად ისწავლება, ანუ დიპლომს კულტურის კვლევების მიმართულებით ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტი გასცემს. ის, რომ ჩვენს სტუდენტებს ამ კურსის შესწავლის ინტერესი აქვთ და მათი რაოდენობა 3-4 წლის განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა, ბევრ რამეზე მეტყველებს.

ჩვენი მიმართულების ხელმძღვანელია ქალბატონი ნინო ჩიქოვანი. სწავლების ის მოდელი, რომელსაც ვიყენებთ, ქალბატონი ნი-

მე-7 გვერდზე

ნანული დორეული



ივანე წერეთელი

მანანა მელიქიშვილი

გიორგი დვალაშვილი

პედაგოგები

2013-2014

2013-2014 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგები

მეექვსე გვერდიდან

ნოს შემოღებულია. სასწავლო კურსი აწყობილია არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებსა და ნაშრომებზე, არამედ მხატვრულ ფილმებსა და ლიტერატურაზე, სარეკლამო რგოლებზე, რომლებიც კარგად ასახავს იმ საკითხებს, რომლებზეც ყოველდღიურად გვიწევს საუბარი. ლექციებზე ჩვენ ვსაუბრობთ, თუ რითი განსხვავდება ესა თუ ის მუსიკალური ჯგუფი ერთმანეთისგან, რატომ მიირთმევს ვიღაც გველის ხორცს მაშინ, როცა ეს სადღაც აკრძალულია, რატომ არის დღეს ქრისტიანულ სივრცეში 2014 წელი და სხვაგან — სხვა წელი და ა.შ. როდესაც პირველკურსელებთან ასეთ კითხვებს ვსვამთ, ცოტა გაუგებარი თვალებით გვიყურებენ. მერე იწყება მსჯელობა და აღმოაჩენენ, რომ ეს ყველაფერი განსაზღვრულია იმ კულტურით, რომელ კულტურაშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ანუ დრო, ზოგადად, ყველგან არსებობს, მაგრამ ამ დროისადმი დამოკიდებულებაა სხვადასხვაგვარი. კულტურაც სწორედ ამას ეფუძნება — ადამიანებს შორის განსხვავებას. ეს არის ძირითადად ჩვენი სასწავლო თემატიკა, რაც საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს და, ვფიქრობ, სტუდენტთა არჩევანი საუკეთესო პედაგოგის დასახელებისას სწორედ ამით იყო განპირობებული.

— ***რას ნიშნავს იყო კარგი მასწავლებელი?***

— ეს არის ოქროს შუალედი მეგობრობასა და დისტანციას შორის. როდესაც ვიხსენებ, ვის ვცემდი პატივს ჩემი მასწავლებლებიდან, ვხვდები, რომ, პირველ რიგში, სტუდენტს უნდა მისცე ის ცოდნა, რაც აინტერესებს და შემდეგ განსაზღვრო შენი ადგილი – არ უნდა იყო შორს სტუდენტისგან. ეს მეგობრული ფორმა, რომელიც მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის ფარგლებს არ სცდება, არის საუკეთესო საფუძველი იმისა, რომ სტუდენტმა სხვათაგან გამოგარჩიოს.

— ***რა ლიტერატურას ეყრდნობით სწავლების დროს, არის საკმარისი მასალა, რათა სტუდენტმა კარგი ცოდნა მიიღოს?***

— თავშივე აღვნიშნე, რომ ეს სპეციალობა საქართველოში ახალია. თუ შევადარებთ სხვა სპეციალობებს, მას მსოფლიოშიც არ აქვს არსებობის დიდი ისტორია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობენ კლასიკოსები. სასწავლო ლიტერატურის გარკვეული ნაწილი ქართულად არის თარგმნილი, ნაწილს ჩვენ თავად ვთარგმნით იმის მიხედვით, თუ კონკრეტულ მომენტში რა საგანს რა სჭირდება. გვაქვს კარგი ბიბლიოთეკა, რომელსაც ვამუშავებთ და მუდმივად ვანახლებთ უცხოელ კოლეგებთან კონტაქტების და მოპოვებული გრანტების მეშვეობით.

ჩვენი გუნდის წარმატების ერთ-ერთი საფუძველია მოწესრიგებული სილაბუსები. სტუდენტს ლიტერატურის ძებნა არსად არ უწევს, ანუ თუ აირჩია ეს სპეციალობა, ზუსტად იცის, რომ მასალა ელექტრონული სახითაც არსებობს და მას ჩვენივე კათედრაზე მოიპოვებს. ეს სწავლისთვის კომფორტს ქმნის.

— ***რა წინადადებით და თხოვნით მიმართავთ რექტორატს?***

— ჩემი თხოვნა იგივეა, რაც სტუდენტებს აქვთ – ითარგმნოს და ქართულად ხელმისაწვდომი გახდეს რაც შეიძლება ბევრი და ახალი სასწავლო ლიტერატურა. ამ ბოლო ხანს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა თარგმნა სტივენ ჯონსის წიგნი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაზე. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და ძალიან წინ წაგვწია, მაგრამ 2012 წლის შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. ახლა სტუდენტობა ახალი წიგნებით უნდა მოვამარაგოთ. საჭიროდ ვთვლი, რომ შეიქმნას ცალკე სტრუქტურა, გამოიყოს თანხა და წიგნები პრიორიტეტის მიხედვით ითარგმნოს. ეს სტუდენტებს ძალიან წაადგებათ.

გასულ წელს სტუდენტებთან ერთად მივაკვლიეთ მღვიმეს, რომელსაც „თსუ-95“ დავარქვით

გიორგი დვალაშვილი — წლის საუკეთესო პედაგოგი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ასისტენტ-პროფესორი:

— ***ბატონო გიორგი, თქვენს ფაკულტეტზე დასახელებული ხართ წლის საუკეთესო პედაგოგად. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საუკეთესო პედაგოგი?***

— საუკეთესო პედაგოგობა ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ისტორია, რომელიც 96 წელია არსებობს – წარმატებით გააგრძელო. ეს კი დიდი პასუხისმგებლობაა. სტუდენტების არჩევანი სტიმულია ჩემთვის, რათა მომავალში უფრო მეტი საველე ექსპედიციები ჩავატარო. გვინდა, სტუდენტებმა პრაქტიკულად ნახონ ის, რასაც თეორიული კურსის ფარგლებში სწავლობენ. ამას ყოველთვის კარგი შედეგი მოაქვს.

მე ვასწავლი რამდენიმე საგანს, მათ შორის გეომორფოლოგიას, რომელიც ბუნების სტიქიური მოვლენების შესწავლას ითვალისწინებს. ჩვენ, მაგალითად, 19 მაისს დევდორაკის ხეობაში მომხდარი სტიქიური მოვლენა ადგილზე ვნახეთ. ზუსტად იმ პერიოდში ჩვენ იქ ლექციები გვქონდა და სტუდენტებს ყველაფერი ადგილზე ვაჩვენეთ. მათ ნახეს — რამხელა მასა იყო ხეობაში ჩამოწოლილი. ასევე, ვასწავლით კარსტოლოგიას. ეს არის მღვიმეების შესწავლა. გასულ წელს სტუდენტებთან ერთად მივაკვლიეთ მღვიმეს, რომელსაც „თსუ-95“ დავარქვით. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული კვლევებშიც. პრაქტიკული ლექციების ფარგლებში, აქტიურ სტუდენტებთან ერთად ჩავდივართ ადგილზე და ვატარებთ ლექციებს. ასევე ჩავრთეთ საბავშვო უნივერსიტეტის მოსწავლეები, რომლებიც არაერთ ღონისძიებაში მონაწილეობენ. უკვე მეორე წელია, რაც მუშაობს „თსუ-ის ეკო კლუბი“, იგი საქართველოს ნებისმიერ წერტილში ეკოლოგიურ პრობლემებს აფასებს. მე მიწევს ამ ჯგუფის კოორდინაცია.

— ***რა პრობლემის გადაჭრა გსურთ, რისთვისაც თსუ-ის ადმინისტრაციას მიმართავდით?***

— ჩვენთვის მთავარი არის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რათა საველე კვლევების დროს სტუდენტები შემთხვევის ადგილზე ჩავიყვანოთ. სტუდენტმა თუ პრაქტიკულად არ ნახა ის, რაც თეორიაში ისწავლა, კარგი პროფესიონალი ვერ ჩამოყალიბდება. თუ ყოველ კვირას იქნება შესაძლებლობა ტრანსპორტის გამოყოფისა, რათა ველზე გადაადგილება შევძლოთ, უფრო კარგი შედეგი გვექნება და უფრო მეტჯერაც იქნება უნივერსიტეტი წარმოჩენილი სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში. იმედი მაქვს, ეს მხარდაჭერა ადმინისტრაციისგან შემოდგომის სემესტრში გვექნება.

ლექციაზე თავიდან ბოლომდე ვხარჯავდი ენერგიას

ზაზა ხეჩინაშვილი — წლის საუკეთესო პედაგოგი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან, ასისტენტ-პროფესორი:

— ***თქვენ დასახელდით წლის საუკეთესო პედაგოგად, რა კრიტერიუმით აგარჩიეს სტუდენტებმა?***

— ჩემთვის მოულოდნელი იყო ეს ამბავი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ვასწავლი სავალდებულო საგნებს — ალბათობის თეორიას და მათემატიკურ სტატისტიკას. ვფიქრობ, განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებდი, გარდა იმისა, რომ ლექციაზე თავიდან ბოლომდე ვხარჯავდი ენერგიას და ცოდნას. მაქსიმალურად ვცდილობ, გავიგო, როგორ ითვისებს სტუდენტი ახალ მასალას. თუ ვატყობ, რომ რაიმე პრობლემებია, მაშინ სხვა მეთოდს მივმართავ, რათა უფრო მარტივად მივაწოდო ესა თუ ის საკითხი. ვცდილობ, კომუნიკაბელური ვიყო. გარდა ლექციებისა, ხშირად ვატარებ დამატებით მეცადინეობებს, კონსულტაციებს. მიმაჩნია, რომ ნამდვილ მასწავლებელს სტუდენტისგან მხოლოდ ის უნდა, რომ ცოდნა გადასცეს და მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახუროს.

— ***თქვენს საგანში სასწავლო ლიტერატურა საკმარისია?***

— ლიტერატურის პრობლემა არ გვაქვს. სტუდენტს შეუძლია ქართული ლიტერატურა, როგორც ამოცანათა კრებული, ისე თეორიული მასალაც, მოიძიოს ბიბლიოთეკებში, ისარგებლოს ინტერნეტით და თსუ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკით.

— ***რა გზავნილს გაუგზავნიდით რექტორატს, ადმინისტრაციას?***

— ჩემი აზრიც არის და სტუდენტებისაც, რომ უნდა მოგვარდეს თსუ-ის ელექტრონული ბაზის პრობლემა. ხშირად ჭირს საგნების არჩევა, რადგან ბაზა გამართულად არ მუშაობს. გარდა ამისა, სტუდენტები უკმაყოფილოები არიან მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაც. ამ მხრივ მაღლივი კორპუსი მისახედია.

არასოდეს ვცდილობ ქულებით „დავჩაგრო“ სტუდენტი

თინათინ დოლიაშვილი — წლის საუკეთესო პედაგოგი ტურიზმის საერთაშორისო სკოლიდან:

— ***როგორი უნდა იყოს საუკეთესო პედაგოგი და რა თვისებების გამო გამოგარჩიეს სტუდენტებმა?***

— ჩემთვის საუკეთესო პედაგოგი არის ადამიანი, რომელმაც იცის თავისი საქმე, უყვარს აუდიტორია, უყვარს სტუდენტი და ცდილობს — ყველაფერი, რაც მასზეა დამოკიდებული, გულით გააკეთოს.

— ***ზოგჯერ სტუდენტები პედაგოგებს საუკეთესო ლექტორად ქულების ლოიალურად წერის გამო ასახელებენ. ამის ალბათობა შეიძლება გამოირიცხოს?***

— ჩემი კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე, არასოდეს ვცდილობ ქულებით „დავჩაგრო“ სტუდენტი. პირიქით, ვცდილობ, რომ მის სასარგებლოდ გადავწყვიტო საქმე, მაგრამ, ამასთანავე, ვასწავლო ისე, რომ მისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენო. ჩემთან ლექციაზე აუდიტორია ყოველთვის სავსეა სტუდენტებით. ამას საგნის სირთულეც განაპირობებს – ფინანსური აღრიცხვა და მმართველობითი აღრიცხვა საკმაოდ რთული საგნებია, რომელიც დაკავშირებულია სხვა საგნების ცოდნასთან. აქ ამოსახსნელია ამოცანები, რომლებიც გარკვეულ ლოგიკურ აზროვნებას ითხოვს. რა თქმა უნდა, სტუდენტების ასეთი დასწრება ნაწილობრივ იმითაც არის განპირობებული, რომ არაფერი გამორჩეთ, რადგან მერე დამოუკიდებლად ვერ ისწავლიან. აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობა ბაზარზე ძალიან მოთხოვნადი სპეციალობაა, რადგანაც არ არსებობს ეროვნული მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც კვალიფიციური ბუღალტერია არ სჭირდებათ.

ტურიზმის სპეციალობაზე მმართველობითი აღრიცხვა მრავალი წლის განმავლობაში ისწავლებოდა, როგორც ძირითადი საგანი. დღეს იგი ბაკალავრიატში სავალდებულო საგანი გახდა, რადგან ძალიან საჭიროა.

— ***რა გზავნილს გაუგზავნით რექტორატს ან ადმინისტრაციას, რა გჭირდებათ, რა პრობლემა გაქვთ?***

— მეტი სასწავლო ლიტერატურაა საჭირო. ვინაიდან მიმაჩნია, რომ კათედრის მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოები და ამოცანათა კრებულები სწავლების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. აქვე ვიტყვი, რომ ადმინისტრაციას ამასთან კავშირი არ აქვს, ეს კათედრის უზრუნველსაყოფია და ამაზე გამუდმებით ვმუშაობთ.

ენის უკეთ ათვისებაში ძალიან გვეხმარება იუმორიც

მერი გიორგაძე — წლის საუკეთესო პედაგოგი თსუ-ის ენების ცენტრიდან:

— ***წლევანდელი გამოკითხვით, სტუდენტებმა წლის საუკეთესო პედაგოგად დაგასახელეს. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?***

— პედაგოგობა ჩემთვის ყველაფერია. ამით ვცოცხლობ. საოცრად სასიამოვნოა სტუდენტებთან ურთიერთობა, მით უფრო, როცა მათგან სიყვარულს გრძნობ. ძალიან დიდი დაფასება ვიგრძენი ბავშვებისგან. ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ვასწავლი ინგლისურს. ლექცია-სემინარებზე ვმართავთ დისკუსიებს, ვხვეწთ ენას. ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნოა სტუდენტების აზრის მოსმენა, მათი ხედვა, მათი თვალებით დანახული სამყარო, სხვადასხვა პრობლემის გადაჭრისთვის შრომა. ვცდილობთ, ყველაფერზე ინგლისურად ვისაუბროთ.

საერთოდ, სტუდენტებს უყვართ, როდესაც არ ხარ ჩვეულებრივი და ტრადიციული მასწავლებელი (როგორც ეს ადრე იყო), როდესაც არ შემოიფარგლები რაღაც დოგმებით. უყვართ, როდესაც აუდიტორიაში შინაურული და ოჯახური გარემო სუფევს. ეს ეხმარებათ, რომ უფრო გახსნილები იყვნენ და არ დაიძაბონ. ენის უკეთ ათვისებაში ძალიან გვეხმარება იუმორიც. ყველაფერს ვაკეთებ, რომ ვიყო კარგი მასწავლებელი და მიხარია, რომ სტუდენტებმა ეს დააფასეს.

— ***რას მოითხოვდით ადმინისტრაციისგან, რა პრობლემის გადაჭრა გსურთ?***

— ვითხოვთ ყველაზე მარტივს — ჩვენ ვართ მაღლივი კორპუსის VII სართულზე, სადაც არ გვაქვს ინტერნეტი. კარგი იქნება, თუ ეს პრობლემა მოგვარდება.

მოამზადეს: **ნინო კაკულიამ და მაია ტორაძემ**

ზაზა ხეჩინაშვილი

თინათინ დოლიაშვილი

მერი გიორგაძე



ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულის მქონე

ელენე გაბელაია,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი:

ელენე ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელთა შორის, საქართველოს მასშტაბით კი ათეულშია და რიგით მეხუთეა. მისი წარმატება, ალბათ, მოულოდნელი არ ყოფილა მშობლებისთვის და სკოლის პედაგოგებისთვის, რადგან იგი ბავშვობიდან აოცებდა ყველას თავისი შესაძლებლობებით.

ელენემ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა და ეროვნულ გამოცდებზე ყველა საგანში უმაღლესი ქულები მოიპოვა. მათემატიკა განსაკუთრებით უყვარს, ამიტომ მომავალ პროფესიად სწორედ ეს მიმართულება აირჩია. მომავალი მათემატიკოსი აპირებს — სხვა პროფესიაც შეითავსოს, თუმცა ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. „მაინტერესებს სოციოლოგია, ბიოლოგია და კომპიუტერული მეცნიერებები. მათემატიკის ცოდნა ყველაფერში დამეხმარება, მაგრამ მინდა სხვა სფეროშიც მოვსინჯო ჩემი შესაძლებლობები. 16 წლის ასაკში გავხდი საერთაშორისო ქსელების აკადემიის „ცისკოს“ სერტიფიცირებული ქსელის პროფესიონალი, რაც ყველას ძალიან გაუკვირდა. ეს სფერო ძალიან მაინტერესებს, მაგრამ შესაძლოა სულ სხვა სფერო ავირჩიო მეორე პროფესიად. ჯერ ისევ ძიებაში ვარ“.

ელენე ასევე კარგად თამაშობს ჭადრაკს, ფრენბურთს, უყვარს ცეკვა და კლასიკური მუსიკა. ხალისიანი და აქტიურია, სურვილი აქვს სტუდენტობის წლები დაუვიწყარი იყოს: „ჩემთვის სკოლა მეორე სახლივით იყო, იმედი მაქვს, უნივერსიტეტიც ასე მიმიღებს“, — ამბობს ელენე.

საზღვარგარეთ კომფორტის მოწყობა არასწორია, როდესაც საქართველოს რეალურად სჭირდება ამ სფეროში სპეციალისტები

ნაზიბროლა ქაჯაია,
მედიცინის ფაკულტეტის პირველკურსელი:

ნაზიბროლა ბათუმიდან არის, შორი გზა და ზღვა იმიტომ გამოიარა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა მისი ოცნება იყო. „აქ იმიტომ ჩავაბარე, რომ მჯერა, სწორედ აქ მივიღებ ხარისხიან განათლებას — ეს ხომ წამყვანი უნივერსიტეტია საქართველოში. აქ ჩემი ბევრი მეგობარი სწავლობს და ყველა ძალიან კმაყოფილია”.

ნაზიბროლამ ურთულესი სფერო აირჩია თავის მომავალ პროფესიად — ოკუპაციური თერაპია. „სკოლა მაღალი აკადემიური მოსწრებით დავამთავრე. ჩემი საყვარელი საგნებია: მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია. არჩევანი კი დედის რჩევით გავაკეთე (იგი დეფექტოლოგია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს მკურნალობს). დღეს ეს სფერო სპეციალისტების ნაკლებობას განიცდის და საკმაოდ პერსპექტიულია. ვფიქრობ, ბევრის გაკეთება შემიძლია. ჩემი მომავალი პროფესია ისეთია, რომ დიდ შრომას მოითხოვს. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სწავლას, ალბათ, უცხოეთში გავაგრძელებ, თუმცა შემდეგ აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, რადგან ვთვლი, რომ საზღვარგარეთ კომფორტის მოწყობა არასწორია, როდესაც საქართველოს რეალურად სჭირდება ამ სფეროში სპეციალისტები. ყველა ჩემს თანატოლს ვურჩევ, რომ დასახული მიზნის მისაღწევად ძალ-ღონე არ დაიშუროს, რადგან ღამეების გათენება თავის შედეგს აუცილებლად გამოიღებს”.

ნაზიბროლა უკვე კარგად ფლობს უცხო ენებს: რუსულს, ფრანგულს და ინგლისურს; უყვარს წიგნების კითხვა. აქტიური მოსწავლე იყო და აპირებს — სტუდენტობაც ასევე საინტერესოდ გაატაროს. „სკოლაში სხვადასხვა წრე ფუნქციონირებდა, ყველგან ხალისით ვმონაწილეობდი. გარდა ამისა, ვცეკვავდი აჭარის სახელმწიფო ანსამბლში, დამთავრებული მაქვს მუსიკალური სასწავლებელი. სკოლაში აგრეთვე მონაწილეობას ვიღებდი საჯარო გამოსვლებსა და დებატებში. უნივერსიტეტში, ალბათ, მეტი შესაძლებლობა მექნება — ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინო“.

ამერიკულ ფეხბურთს ვთამაშობდი და „საუკეთესო დამრტყმელის“ წოდებაც მოვიპოვე

გიგა კაკალაშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველკურსელი:

გიგა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხიდან არის. მე-12 კლასში გაცვლითი პროგრამით ამერიკაში გაემგზავრა და სკოლა იქ დაამთავრა, თუმცა, ამერიკის სკოლამ ატესტატი არ მისცა (რადგან 4 წელი იყო საჭირო საკმარისი კრედიტების დასაგროვებლად) და ისევ ველისციხის სკოლაში მოუწია განსხვავებული საგნების ჩაბარება. ეროვნული გამოცდებისთვის მხოლოდ ერთი თვე მოემზადა, მაგრამ საუკეთესო შედეგს მიაღწია და სრული სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა.

„ჩემი არჩევანი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩამებარებინა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში ეს უმაღლესი სასწავლებელი მართლაც საუკეთესოა. ვაპირებ, რომ სტუდენტობის წლები მაქსიმალურად კარგად გამოვიყენო განათლების მისაღებად და ამ სფეროში წარმატებას მივაღწიო. მჯერა, რომ ეს ენთუზიაზმი არ ჩაქრება“.

გიგა სიამოვნებით იხსენებს ამერიკაში გატარებულ პერიოდს და ამბობს, რომ იქ ყოფნისას დიდი გამოცდილება მიიღო — რაც მთავარია, დამოუკიდებლად ცხოვრებასა და აზროვნებას შეეჩვია. „ამერიკელებისგან მართლაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ძალიან მომეწონა მათი განათლების სისტემა, რომელიც მთლიანად მოსწავლის და სტუდენტის ინტერესებზეა გათვლილი. ამასთან, საოცრად კარგად აქვთ შეთავსებული ერთმანეთთან სწავლა და სპორტი. აქტიურად ვიყავი სკოლის სპორტულ ცხოვრებაში ჩართული, ამერიკულ ფეხბურთს ვთამაშობდი და „საუკეთესო დამრტყმელის“ წოდებაც მოვიპოვე. მძლეოსნობაშიც გამოვიჩინე თავი და ბევრი მედლები და ქულები შევძინე ჩემს გუნდს. იმედია, უნივერსიტეტშიც მექნება საშუალება სპორტული ცხოვრება გავაგრძელო“.

გიგა სპორტის გარდა ნუმიზმატიკითაც არის დაინტერესებული. გატაცებულია მუსიკით და რუბიკ-კუბიკის თამაშით, რომელსაც 40 წამში აწყობს.

არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ ამირჩევია შემთხვევით

გიორგი ხანჯალიაშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელი:

გიორგი ხანჯალიაშვილი თვლის, რომ ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი წარმატებით გადალახა, თუმცა სამომავლო გეგმებზე ნაკლებად საუბრობს. მისი აზრით, ოცნებას სჯობს იმოქმედოს და საქმით დაამტკიცოს — რა შეუძლია. მან თელავის პირველი საჯარო სკოლა მაღალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრა და ეროვნულ გამოცდებზეც ყველა საგანში უმაღლესი შეფასებები მიიღო.

გიორგიმ სპეციალობად იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მიმართულება აირჩია. „მინდა ყველას და, პირველ რიგში, ჩემს თავს დავუმტკიცო, რომ ჩემი არჩევანი შემთხვევითი არ არის. სკოლაში ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ბოლოს ეს სფერო ავირჩიე. გამოგიტყდებით, ცოტა ზარმაციც ვარ, მაგრამ, რაც მომწონს, იმის კეთება არ მეზარება, პასუხისმგებლობის გრძნობაც მაქვს, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა მიზანს მივაღწიო. არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ ამირჩევია შემთხვევით — ამ სასწავლებელს ხომ თითქმის საუკუნოვანი და მდიდარი ტრადიციები აქვს. მჯერა, რომ საუკეთესო სტუდენტობა მელოდება წინ“.

გამორჩეულნი

ისინი მოდიან ახალი იმედებით, ოცნებებით, სურვილებით და მიზნებით.... უნივერსიტეტიც ასეთივე იმედით ხვდება „ახალი სისხლის გადასხმას“.

მათ უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები, რათა გამხდარიყვნენ რჩეულები, ახლა უკვე მათზეა დამოკიდებული, როგორ შეინარჩუნებენ რეიტინგს და როგორ გაამართლებენ იმედებს. რაც მთავარია, ყველა მათგანს გაცნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა — თუ რას ნიშნავს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. ისინი ამბობენ, რომ „შემთხვევითი“ არ იყო მათი არჩევანი და იმედი აქვთ, რომ სწორედ აქ მიიღებენ კარგ განათლებას.

„სტუდენტობის საუკეთესო წლებში“ გიორგი სწავლის გარდა იმასაც გულისხმობს, რომ აქტიურად ჩაერთვება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ამისთვის მას საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს: უყვარს სპორტი, უკრავს გიტარაზე, ცეკვავს... ამიტომ ამ მხრივაც აპირებს ძალების მოსინჯვას.

მჯერა, რომ სწორედ ამ სასწავლებელში შევძლებ ჩემი ოცნებების ხორცშესხმას

გვანცა შაოშაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი:

გვანცამ საჩხერის პირველი საჯარო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა. ღამეების გათენებამ თავისი შედეგი გამოიღო — მისი ოცნება ასრულდა, იგი დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, სრული სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა და სასურველ ფაკულტეტზე ჩააბარა.

„მიხარია, რომ სასურველ ფაკულტეტზე მოვხვდი. ჩემი არჩევანი საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრებისადმი მიდრეკილებამ განაპირობა. მჯერა, რომ სწორედ ამ სასწავლებელში შევძლებ ჩემი ოცნებების ხორცშესხმას“, — ამბობს გვანცა.

მის ოცნებებში ბევრი რამ შედის: მათ შორის, უცხოეთში სწავლის გაგრძელება, მოგზაურობა... საერთაშორისო ურთიერთობების გარდა აინტერესებს ფსიქოლოგია. „ყველაფერს გავაკეთებ, რომ კარგი პროფესიონალი გამოვიდე, ამისთვის კი მხოლოდ კარგად სწავლა არ კმარა. ვეცდები, აქტიურად ჩავერთო სტუდენტურ-სამეცნიერო კონფერენციებში, მონაწილეობა მივიღო სხვადასხვა აქტივობებში“.

გვანცამ პატარა „საიდუმლოც“ გაგვიმხილა: თავისუფალ დროს იგი გატაცებით წერს ლექსებს, მოთხრობებს, ჩანახატებს. ალბათ მოვა დრო, როდესაც ამ კუთხითაც გავიცნობთ მას.

სამეცნიერო მუშაობა ჩემი მოწოდებაა

გიორგი ჩხეიძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაბარება გიორგისთვის ლიტერატურის დიდმა სიყვარულმა განაპირობა. იგი გატაცებით საუბრობს თავის მომავალ პროფესიაზე და თვლის, რომ ადამიანმა აუცილებელია ის საქმე აკეთოს, რაც ძალიან უყვარს, მიუხედავად იმისა, მოუტანს თუ არა ეს პროფესია მას ფინანსურ კეთილდღეობას. „გარდა იმისა, რომ ძალიან მიყვარს ლიტერატურა, ლინგვისტიკითაც ვარ დაინტერესებული და მინდა, ეს დარგი კარგად შევისწავლო. ამ ეტაპზე ნამდვილად არ ვფიქრობ, რამდენად პერსპექტიულია ეს სფერო, მაგრამ ვიცი, რომ სამეცნიერო მუშაობა ჩემი მოწოდებაა. უნივერსიტეტში ამ დარგს დიდი ტრადიცია აქვს, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ სწორედ ამ სასწავლებელში მოვხვდი“.

გიორგიმ ხონის ირაკლი აბაშიძის სახელობის მე-3 საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ლიტერატურის გარდა, სკოლის პერიოდიდან გატაცებულია ვებ-დიზაინით და ამ კუთხითაც გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწია. მომავალში გეგმავს შექმნას ვებ-გვერდი — ქართული ენის კურსი უცხოელებისთვის, რაზეც უკვე მუშაობს უცხოელ სპეციალისტთან ერთად.

მისი საყვარელი მწერლების სია გრძელია: საყვარელი ნაწარმოები „ვეფხიტყაოსანია“, საყვარელი მწერლები მარკესი და დოსტოევსკი არიან. გასაკვირი არც არის, რომ თავადაც წერს. შეგვპირდა კიდეც, რომ მალე თავის შემოქმედებას გაგვაცნობს.

სკოლის პერიოდში ერთერთ ტურისტულ სააგენტოშიც ვმუშაობდი

ზურაბ ძნელაძე,
ტურიზმის საერთაშორისო სკოლის პირველკურსელი:

ზურას არჩევანი გასაკვირი არავისთვის ყოფილა: პატარა ზღვისპირა ქალაქში გაზრდილი ხშირად უმასპინძლდებოდა უცხოელ ტურისტებს და მეგზურობას უწევდა. სკოლის პერიოდში ერთერთ ტურისტულ სააგენტოშიც მუშაობდა, მათთან ერთად შემოიარა მთელი საქართველო და მიხვდა, რომ მოსწონდა ეს პროფესია.

ქობულეთის კერძო სკოლა „მედიანას“ დამთავრების შემდეგ ტურიზმის მიმართულებაზე ნაწილობრივი დაფინანსებით მოხვდა. თავის წარმატებას სკოლის პედაგოგებს უმადლის, რადგან კერძო მასწავლებლები არ ჰყოლია.

„ვეცდები გავამართლო ჩემი პედაგოგების იმედები, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა წარმატებით ჩამებარებინა უმაღლეს სასწავლებელში. იმედია, ამ ფაკულტეტზე სწავლა დამეხმარება, უკეთესად დავეუფლო ამ პროფესიას, რომელიც უკვე შემიყვარდა“, — ამბობს ზურა.

მეორე პროფესიად ზურას მუსიკოსობა აქვს არჩეული. ქობულეთში მას უკვე საკუთარი ბენდიც ჰყავს.

„გიტარაზე დაკვრა ჩემს უბანში მცხოვრებმა ბიშამ მასწავლა. გარდა ამისა, ვუკრავ ფორტეპიანოზე და დრამზე. 2 წელი გიტარის მასწავლებლად მეც ვმუშაობდი. ვწერ მუსიკას და ტექსტებს ჩემი მუსიკისთვის. თუ საშუალება მექნება, სიამოვნებით გავაცნობ ჩემს შემოქმედებას სტუდენტებს“, — ამბობს ზურა.

მოამზადა **შურთხია ბერეშვილმა**

უნივერსიტეტისთვის შეუფერებელ საქმიანობას თბილისის მერი კრძალავს

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის შეუფერებელი საქმიანობის შესაძლო განხორციელებას თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა 2014 წლის 24 იანვარს განცხადებით გამოეხმაურა და თბილისის საკრებულოსა და მერიას თხოვნით მიმართა. რექტორის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მერიას მაქსიმალურად გამოეყენებინა მის ხელთ არსებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებები, რათა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში მერიამ გაასხვისა, არ განხორციელებულიყო უნივერსიტეტისთვის შეუფერებელი და მიუღებელი საქმიანობა. ამ მოთხოვნას უნივერსიტეტის სტუდენტებიც შეუერთდნენ და უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე სასაფლაოს გაკეთების გეგმა გააპროტესტეს. უნივერსიტეტის პოზიციაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მაშინ არავის გაუცია. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გზით შეცვლილ მთავრობას ჩვენ სწორედ ეს საკითხი შევახსენეთ. როგორც აღმოჩნდა, ახლად არჩეული თბილისის მერი დავით ნარმანია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების პრობლემას კარგად იცნობდა და როგორც მან აღნიშნა, მერის კომენტარს საქმეც მალე მოჰყვება:

დავით ნარმანია:
არავის მივცემთ საშუალებას, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების გვერდით სასაფლაო გააკეთოს

დავით ნარმანია,
ქ. თბილისის მერი:

— ჩვენდა სამწუხაროდ, ტერიტორიების გასხვისებისა და უკანონო თუ უსარგებლო, ამავე დროს, სხვისთვის ზიანის მომტანი მშენებლობების წამოწყების შემთხვევები წინა ხელისუფლების მმართველობის დროს არა ერთი იყო. არც უნივერსიტეტის მაღლივი ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაა გამონაკლისი. როცა „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები ხედავდნენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს პირწმინდად აგებდნენ, ძალიან ბევრი ტერიტორია გაასხვისეს. ბევრი ასეთი ტერიტორია აჩენს კითხვის ნიშნებს და, აქედანვე მინდა განვაცხადო, რომ ყველა საკითხი გამოძიებას დაექვემდებარება.

უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე წლის წინ, პატრიარქის ხელმძღვანელობით, გამწვანების აქცია დაიწყო და დაირგო ხეები. ამ ხეებმა გაიხარა. როცა ქვეყანაში მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა, არავის მივცემთ საშუალებას, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების გვერდით სასაფლაო გააკეთოს. მოგეხსენებათ, სწორედ ამ მიზნით გაასხვისეს ეს ტერიტორია. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გავაუქმებთ და იქ სასაფლაო ვეღარ გაკეთდება. რაც შეეხება ინვესტორს, რომელსაც უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაში ფული აქვს გადახდილი, მის ნაცვლად მიწას ქალაქის სხვა ნაწილში გამოვუყოფთ და არა სასწავლო დაწესებულებასთან ახლოს.

> **„ჩვენ უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაში აუცილებლად ჩავერთვებით"**

თბილისის მერიასა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე მუშაობა იწყება

დავით ნარმანია,
ქ. თბილისის მერი:

— რამდენიმე კუთხით მუშაობა გააქტიურდება იმისათვის, რომ ქალაქის მერიამ უნივერსიტეტის განვითარებას და მისი იმიჯის ამაღლებას ხელი შეუწყოს. ვგეგმავთ მჭიდრო თანამშრომლობას უნივერსიტეტთან, პირველ რიგში, მერიაში სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის შეთავაზების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ჩვენ უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაში აუცილებლად ჩავერთვებით. ვფიქრობ, რომ სხვადასხვა სახის კვლევებს, რაც თბილისის მერიას დასჭირდება თავისი პოლიტიკის ფორმირებისა და წარმოებისთვის, თავის მხრივ, უნივერსიტეტიც შემოგვთავაზებს — ამის შესახებ დაკვეთები ჩვენგან წამოვა. რიგ შემთხვევაში კონკურსს გამოვაცხადებთ, რაშიც, იმედია, უნივერსიტეტელები მონაწილეობას მიიღებენ. ეს ყოველივე უნივერსიტეტსა და თბილისის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმის საგანს წარმოადგენს, რომელზეც აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ.

***მოამზადა* ნინო კაკულია**

სამსონ შათაშვილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადაეცა

თამარ დადიანი

„თსუ-ში გატარებული წლები ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნაწილია. აქ მივიღე პროფესიული განათლება, მყავდა არაჩვეულებრივი მასწავლებლები... ეს ჯილდო ჩემთვის დიდი პატივია, მის მნიშვნელობას ბოლომდე ვაცნობიერებ და მზად ვარ — მშობლიურ უნივერსიტეტს, ჩემი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში, ერთგულად ვემსახურო!" — განაცხადა ტრინიტის კოლეჯის (დუბლინი) ნატურ-ფილოსოფიის საუნივერსიტეტო კათედრის გამგემ, ჰამილტონის მათემატიკის ინსტიტუტის (დუბლინი) დირექტორმა და IHÈS (საფრანგეთი) გელფანდის სახელობის კათედრის გამგემ, სტონი ბრუკის (აშშ) საიმონსის გეომეტრიისა და ფიზიკის ცენტრის პროფესორმა, მსოფლიო დონის წარმატებულმა ქართველმა ფიზიკოსმა სამსონ შათაშვილმა, რომელსაც თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, 4 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაში (სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა საზღვარგარეთ, უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარება, ახალგაზრდების სამეცნიერო-პრაქტიკული უნარების განვითარება) შეტანილი წვლილისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადაეცა. „ეს ჯილდო ჩემთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რუსთაველის პრემია, რომელიც ახალგაზრდობაში მომანიჭეს", — აღნიშნა ქართველმა პროფესორმა, რომელსაც საზღვარგარეთ მსოფლიო დონის ფიზიკოსად აღიარებენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამსონ შათაშვილის სახელი და მისი მეცნიერული მიღწევები ქართველ მეცნიერთა მხოლოდ ვიწრო წრისთვისაა ცნობილი — ქართულ მედიას მისი მოღვაწეობა სათანადოდ არასდროს გაუშუქებია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი ქართველ პროფესორს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ბოჭორიშვილმა გადასცა.

სამსონ შათაშვილის ინიციატივით ტრინიტი კოლეჯსა (დუბლინი) და თსუ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ტრინიტი კოლეჯში თსუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტებს სწავლა ფიზიკისა და მათემატიკის მიმართულებით გაეგრძელებინათ.

„მოხარული ვიქნები, თუ ქართველი სტუდენტები სწავლის გაგრძელებას ტრინიტის კოლეჯში ისურვებენ. ვამაყობ იმ პროექტით, რომელიც ქართველ სტუდენტებს საშუალებას მისცემს — ევროპული, მაღალი დონის განათლება მიიღონ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს იმის პოტენციალი, რომ კარგი სპეციალისტები გაზარდოს, რომლებიც მომავალში ტოლს არ დაუდებენ უცხოელ კოლეგებს და მეცნიერების განვითარებაში სერიოზულ წვლილს შეიტანენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს განვითარებას ვუსურვებ. როცა აქ ვსწავლობდი, მართლაც არაჩვეულებრივი ატმოსფერო სუფევდა. გვქონდა კონტაქტები მოსკოვის, ლენინგრადის სამეცნიერო ცენტრებთან. მზად ვარ, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, ქართველ მეცნიერებს დახმარება შევთავაზო ამერიკის, საფრანგეთისა და ირლანდიის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობებისთვის.

პირველი, რასაც ქართველ კოლეგებს ვუსურვებ — აზრის თავისუფლებაა!

მინდა, რომ ქართველ მეცნიერებზე ისევე ზრუნავდნენ, როგორც ევროპაში. აქ ბევრი კარგი მეცნიერია, რომელიც ღირსია აღიარებისა და დაფასების. ასეთ მეცნიერებს რეალური თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდებათ, მეცნიერება სხვაგვარად ვერ განვითარდება", — განაცხადა პროფესორმა სამსონ შათაშვილმა.

საქართველო-ისრაელის ურთიერთმიმართება „მწვანე ეკონომიკის“ კონტექსტში

საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია

ნატო ობოლაძე

გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ, რათა მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის გატარება დაეწყოთ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტები, რაც რამდენიმე კომპონენტს ითვალისწინებს: განახლებად ენერგიაზე გადასვლა; მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდა; მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერა და ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მსოფლიოს რამდენიმე განვითარებად ქვეყანაში „მწვანე ეკონომიკის“ ცალკეული პროექტები წარმატებით უკვე განხორციელდა.

გაეროს რეკომენდაციებს ითვალისწინებს საქართველოც. უკვე დაწყებულია პროგრამა — „მწვანე საქართველო“, რომლის ინიციატორიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა. პროგრამა გულისხმობს სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას, სიღარიბესთან ბრძოლას, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას და, ასევე, ზოგადად, გარემოსდაცვით აქტივობებს. პროგრამა ხორციელდება არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელიც კერძო სექტორზე ორიენტირებულ პოლიტიკას ითვალისწინებს.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების საკითხებზე მუშაობს სამეცნიერო საზოგადოებაც, კვლევით პროცესში ჩართულები არიან სტუდენტებიც. მათი ნაშრომების პრეზენტაცია 14-17 ივლისს, მესტიაში, საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე — „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“ იყო წარმოდგენილი. კონფერენცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის — „იდეა“ ორგანიზებით გაიმართა, რომელსაც პროფესორი გიორგი შიხაშვილი ხელმძღვანელობდა.

„აღსანიშნავია, რომ ამ კონფერენციის გამართვა საქართველო-ისრაელის 26-საუკუნოვანი მეგობრობის საიუბილეო წელს დაემთხვა. კარგი იქნება, თუ ჩვენი ერები, ამ მეგობრობის საფუძველზე, ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას შეძლებენ და იმ ცოდნის გაზიარებასაც, რომელიც ამ დროის განმავლობაში დაგროვდა“ — განაცხადა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა ირაკლი მურცხვალაძემ.

პრობლემების აქტუალიზაცია

კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ ისრაელისა და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორები, რომლებმაც მათი ქვეყნების „მწვანე ტრანსფორმაციის“ პროცესებზე, მის თანმხლებ პრობლემებსა და მიღებულ გამოცდილებაზე ისაუბრეს. მოხსენებაში (უკრაინისა და ისრაელის გარემოს დაცვა: მდინარეების მდგომარეობა, მათი დაბინძურება და პრობლემის გადაჭრის საერთო გზები) ანა მედუშოვსკაიამ, აქსანა რიაბჩენკომ და მიხეილ შუბანმა ისრაელისა და უკრაინის მდინარეების მდგომარეობა აღწერეს. ორივე ქვეყანას საერთო პრობლემა აქვს: ნარჩენებითა და პესტიციდებით მდინარეებისა და გრუნტის წყლების დაბინძურება. შესაბამისად, მათ მოცემული ჰქონდათ კონკრეტული წინადადებებიც, რაც ორივე ქვეყანაში წყლის რესურსის შენარჩუნებასა და ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

„ასეთ სიტუაციაში ყველაზე ეფექტური იქნება, რომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ ითანამშრომლონ. დასაწყისისთვის აუცილებელია კანონმდებლობის გამკაცრება, კონტროლის გაძლიერება და სანქციების ამაღლება იმ პირებისთვს, რომლებიც ჰიდრორესურსებს აბინძურებენ. ეს ნორმა უნდა შეეხებოდეს როგორც დიდ კომპანიებს, ასევე, უბრალო მოქალაქეებსაც. სახელმწიფო დონეზე უნდა შემუშავდეს ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის ეფექტური სისტემა.

ისრაელში უზრუნველყოფილია დამატებითი წყალმომარაგება, ანუ ამუშავებულია ზღვის წყლის გამტკნარების სისტემა, რომელიც შესაძლებელია უკრაინაშიც გამოიყენონ“, — აღნიშნეს ავტორებმა მოხსენებაში.

სამეცნიერო ღონისძიებაზე ერთერთი მთავარი თემა ისრაელის სოფლის მეურნეობის განვითარება იყო. ციალა სარაიდაროვასა და გიორგი შიხაშვილის მოხსენებაში (წყლის პრობლემა ისრაელში და მისი მოგვარების გზები) საუბარია ისრაელის ეკონომიკურ წინსვლაზე და ცხელი, მშრალი კლიმატის პირობებში სპეციალური სარწყავი სისტემის გამოყენებით სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რომელიც მცენარეებისთვის წვეთოვანების საშუალებით წყლის მიწოდებას გულისხმობს.

„გეოგრაფიულად ქვეყნის არამომგებიანი მდებარეობის და მშრალი კლიმატის მიუხედავად, უდაბურ მიწებზე, წყლის დიდი დეფიციტის პირობებში ისრაელმა შეძლო მიწის დამუშავების კუთხით არა მხოლოდ განვითარება, არამედ სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების ახალ საფეხურზე აყვანა. დღეს, გეოგრაფიულად — არამომგებიანი და პოლიტიკურად – მტრული გარემოს მიუხედავად, წყლის გამტკნარების ახალი ტექნოლოგიისა და წვეთოვანი სარწყავი საშუალებების დახმარებით, ისრაელმა შეძლო უდაბნოს ოაზისად გადაქცევა და ქვეყნის სოფლის პროდუქტებით მომარაგება, რაც ქვეყანამ ნიჭის, მიზანდასახულობისა და შრომისმოყვარეობის დამსახურებით მოახერხა. ეს ყველაფერი ჩვენც გვაქვს, უბრალოდ მეტი ძალისხმევა და წარმატების რწმენა გვმართებს“, — განაცხადეს მოხსენების ავტორებმა.

რაც შეეხება უშუალოდ ისრაელსა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხს, ეს თემა ნაშრომში „საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები“ იყო განხილული (ავტორები: ირაკლი მურცხვალაძე, ირაკლი სვანიძე, ვახტანგ ჭარაია, იულია ჯანაშვილი). მოხსენებაში აღწერილია ორივე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები და საქართველოში ებრაული ინვესტიციების შემოდინების პროცესიც: „ებრაული ინვესტიციები პირველად საქართველოში 2001 წელს დაფიქსირდა და სულ რაღაც 150.8 ათასი დოლარი შეადგინა. ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციურმა ნაკადმა იმატა და მთლიანობაში 53.3 მილიონ დოლარს მიაღწია. საინტერესოა, რომ ებრაელი ინვესტორები ყველაზე მეტად ინტერესდებიან ვაჭრობით. ჯანდაცვაში თანხის დაბანდებამ, სავარაუდოდ, არ გაამართლა — ამ სფეროდან ინვესტიციების გადინება შეინიშნება. ებრაელ ინვესტორებს ყველაზე ნაკლებად სოფლის მეურნეობა აინტერესებთ, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტად არის გამოცხადებული“.

მოხსენების ავტორები საქართველო-ისრაელის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების წინაპირობად სავიზო რეჟიმის გაუქმებას მიიჩნევენ, რომელიც ოფიციალურად ძალაში უკვე შესულია და, ასევე, საქართველოში ისეთი ტიპის რეფორმების გატარებასაც გამოყოფენ, რის შედეგადაც ებრაელ ინვესტორებს ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელება გაუმარტივდებათ.

მეგობარი ქვეყნების გამოცდილებისა და რეკომენდაციების გარდა, კონფერენციაზე ზემო სვანეთში სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებიც განიხილეს. სტუდენტებმა წარმოადგინეს კონკრეტული პროექტები. მათ შორის — თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მარიამ და შოთა ჯიბუტების მოხსენება (სვანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები). ნაშრომი ეფუძნება რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს. ამ ნაშრომის სახით ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შეთავაზებულია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელი რეკომენდაციები და ასევე პროექტი, რომელიც კარტოფილის წარმოებას ითვალისწინებს.

„საჭიროა მომზადდეს რაიონის განვითარების კონცეფცია შესაბამისი ხედვით, რომელშიც ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მთელი პოტენციალი უნდა იყოს გათვალისწინებული. ყველა თემისა და სოფლისათვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს მათი შემოსავლების წყაროები და დამოუკიდებლად არსებობის საშუალებები. ჯერჯერობით ამ მიმართულებით მხოლოდ ის კეთდება, რომ მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი იზრდება, თემებსა და სოფლებში მათი საჭიროებების გამოკვეთა მათივე აქტივობით ხდება. ამრიგად, მიზანშეწონილია სტრატეგიული განვითარების კონკრეტული პროგრამის შედგენა, დასაბუთებული კვლევების განხორციელება და შესაბამისი სახელმწიფო მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელება“, — აღნიშნულია ნაშრომში.

საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე სტუდენტებმა (თორნიკე ბერიძე, გურამ ბოლქვაძე და თენგიზ თაქთაქიშვილი) ასევე წარმოადგინეს პროექტი, რომელიც საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას ითვალისწინებს. მომხსენებლებმა მცირე მეურნეობებთან შედარებით კოოპერატივების უპირატესობებზე ისაუბრეს. სტუდენტებს ნამუშევარი ჰქონდათ ისეთ თემებზეც, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის პრობლემები თანამედროვე კომპანიებში, ებრაული კიბუცების და მოშავების მენეჯმენტი, ფერმერული მეურნეობის საქმიანობის ორგანიზაცია და ა.შ. განხილვის საგანი იყო სვანეთში ეთნოტურიზმის განვითარების პერსპექტივებიც. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა ვალერი არღუთაშვილმა, თორნიკე ნარსავიძემ, ნოდარ ქიტიაშვილმა და სოფიო ჩიტაძემ ის ძირითადი მახასიათებლები (კულტურა, ფოლკლორი, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ლანდშაპტი, არქიტექტურა) მიმოიხილეს, რაც სვანეთის რეგიონს გააჩნია და ეთნოტურიზმის განვითარების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციებიც გაწერეს. რეკომენდაციები, ძირითადად, პიარ-მენეჯმენტის გაუმჯობესებას, ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღდგენა-გაფრთხილებას და ტურისტულ ბიზნესში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას გულისხმობს.

ეკონომიკური განვითარების ებრაული მოდელი და „ცენტრ „იდეას“ მიზნები

„ცენტრ ,,იდეას” განზრახული აქვს გაშალოს კვლევითი მუშაობა ეკონომიკური განვითარების და მართვის ებრაული მოდელის ისტორიულ, თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე და მათ სათანადო ადაპტაციაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა-ჩამოყალიბებისა და გამოყენების პროცესში. კონფერენცია ამ კვლევითი პროექტის შემადგენელი ნაწილია და მისი მიზნების განხორციელებას ემსახურება“, — აღნიშნა სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრის „იდეა“-ს ხელმძღვანელმა, კონფერენციის ორგანიზატორმა გიორგი შიხაშვილი.

სტუდენტურ სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მხარდამჭერები გახლდნენ: საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ისრაელის საელჩო საქართველოში. მხარდამჭერებს შორის ასევე არიან კერძო პირებიც: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი დავით ნარმანია და ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი.

ამ დროისთვის უკვე გამოცემულია და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია სპეციალური კრებული, რომელშიც საერთაშორისო სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციაზე „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“ წარმოდგენილი ნაშრომებია შესული.

საზაფხულო სკოლა — „კარგი მმართველობა“

ნატო ოგოლაძე

ზაფხულის მიწურულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საზაფხულო სკოლას — „კარგი მმართველობა“ უმასპინძლა. პროექტში 37 სტუდენტი იყო ჩართული (მათ შორის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და უცხოელი სტუდენტები), რომლებმაც საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა თუ სამომავლო გეგმების შესახებ სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურების პირველი პირებისგან მიიღეს ინფორმაცია. საზაფხულო სკოლის მუშაობაში ჩართულები იყვნენ ქართველი და უცხოელი პროფესორები, ასევე, ადგილობრივი მთავრობის და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები.

„საზაფხულო სკოლის ძირითადი თემა იყო სახელმწიფოს კარგი მმართველობა, რაც დღეს აქტუალურია. სკოლის ფარგლებში საკმაოდ დიდი ინფორმაცია მივიღეთ, მაგალითად: რა პროცედურებია საჭირო სახელმწიფო უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისთვის? როგორ მუშაობს მთავრობის სხვადასხვა რგოლი და რა სამომავლო გეგმები აქვთ და ა.შ. ასევე გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტმა ანა ალადაშვილმა.

„გვესაუბრნენ ისეთი საინტერესო და კომპეტენტური ადამიანები, როგორიც არიან იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ბატონი ალექსანდრე ბარამიძე, სახალხო დამცველის მოადგილე პაატა ბელთაძე, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ლომიძე და სხვები. საზაფხულო სკოლის ფარგლებში ასევე მოწვეულები იყვნენ ეკონომისტები ტარტუს უნივერსიტეტიდან და ბაქოს დიპლომატიური აკადემიიდან, რომლებმაც მათი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ევროკავშირში გაწევრიანებაზე — მის დადებით და უარყოფით მხარეებზე მოგვაწოდეს ინფორმაცია. რა თქმა უნდა, კარგ მმართველობასთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია გვქონდა, მაგრამ რაც საზაფხულო სკოლის ფარგლებში გავიგეთ, ამას ინტერნეტში ნამდვილად ვერ ვნახავდით“, — გვითხრა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი ცუცქირიძემ.

ღონისძიების ორგანიზატორებმა კარგი მმართველობის თემაზე საზაფხულო სკოლის მონაწილეებისთვის ესსეების კონკურსიც მოაწყვეს. გამარჯვებულებს — თიკო ვახანიასა და თენგიზ სულთანიშვილს წამახალისებელი საჩუქრები გადაეცათ. საზაფხულო სკოლის მონაწილეებს ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტისგან საჩუქრად გადაეცათ სამ-სამი სასწავლო კრედიტი, რომელიც თსუ-შიც შეუძლიათ გამოიყენონ.

საზაფხულო სკოლა „კარგი მმართველობა“ 5 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. პროექტის ფარგლებში სტუდენტები ახალციხეშიც გაემგზავრნენ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ახალი ადგილობრივი ხელისუფლების ჩამოყალიბება და სამომავლო გეგმები სამცხე-ჯავახეთის განვითარებისთვის — ეს ის ძირითადი საკითხები იყო, რაზეც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სტუდენტებთან ისაუბრეს.

საზაფხულო სკოლა თსუ-ის, ტარტუს უნივერსიტეტის (ესტონეთი), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის და ევროპული კვლევების ინსტიტუტის თანაორგანიზებით და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

„პრობლემებიც არის, მაგრამ, ვფიქრობ, კარგი მმართველობის მიმართულებით საქართველოში პოზიტიური მიღწევები გვაქვს. რაც შეეხება საზაფხულო სკოლას, ესტონურმა მხარემ თავად შემოგვთავაზა მისი განხორციელება. ამისთვის კი გამართული პროექტის დაწერა და დამფინანსებლის მოძიება იყო საჭირო, რაც ჩვენი ერთობლივი ძალებით წარმატებით განვახორციელეთ. შედეგად ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან 50 ათას ევროიანი გრანტიც მოვიპოვეთ, რომელიც არა მხოლოდ ამ კონფერენციას, არამედ სხვა მრავალ აქტიურობას მოიცავს, მათ შორის 5 ქართველი სტუდენტის ტარტუს უნივერსიტეტში ერთი სემესტრით სრულიად დაფინანსებულ სწავლას. ჩემი აზრით, პროექტმა გაამართლა და ჩვენმა სტუდენტებმა ამ 5 დღის განმავლობაში ღირებული განათლება მიიღეს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა და პროექტის ავტორმა ვახტანგ ჭარაიამ და დასძინა, რომ სურს — მადლობა გადაუხადოს ბატონ გიორგი კლდიაშვილს პროექტის ორგანიზებაში განსაკუთრებული დახმარებისთვის.

საზაფხულო სკოლის გახსნას თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა, თბილისის მერი დავით ნარმანია, პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც დაესწრნენ. თსუ-ის რექტორის ლადო პაპავას განცხადებით, პროექტის მიზანია სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრდეს ხელისუფლების გამჭვირვალე მმართველობა, რომელიც ხალხზე ორიენტირებული იქნება. „მსგავსი საზაფხულო სკოლა აკადემიური სკოლების მნიშვნელოვანი დანამატია, რომელიც საზაფხულო სკოლის მოსწავლეებს მსოფლმხედველობას უფართოებს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ პროექტის შეფასებისას.

ახალი სამაგისტრო პროგრამა — „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“

ღია კარის დღეზე

„დღეს რომ ბაკალავრიატს ვამთავრებდე, აუცილებლად ამ პროგრამაზე ჩავაბარებდი და უცხოეთში სასწავლებლად არ წავიდოდი,“ — განაცხადა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კახა შენგელიამ 2 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ღია კარის დღეზე, რომელიც ახალი სამაგისტრო პროგრამის — „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ გაცნობას მიეძღვნა. მან პროგრამაზე საუბრისას გამოყო ის ძირითადი მახასიათებლები, რის გამოც ბაკალავრის ხარისხის მქონე ახალგაზრდები ამ პროგრამით უნდა დაინტერესდნენ. კერძოდ, აღნიშნა, რომ ეს არის ინტერსაუნივერსიტეტო სამაგისტრო პროგრამა, რომლის მსგავსიც არ არსებობს კავკასიის რეგიონში: „პროგრამა ყველაზე უახლესია აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც აფინანსებს როგორც კვლევებს, ასევე, სტუდენტების უცხოეთის უნივერსიტეტებში მობილობას. ამიტომ, ვისაც უნდა, მიიღოს თანამედროვე განათლება, მერწმუნეთ — საქართველოში ამის გაკეთება შესაძლებელია“, — განაცხადა კახა შენგელიამ.

ახალი სამაგისტრო პროგრამა „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტსა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ევროკომისიის (ტემპუს/ტასისის) პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. ეს ინტერდისციპლინური და ინტერსაუნივერსიტეტო პროგრამა მაგისტრანტებს საშუალებას აძლევს — მიიღონ განათლება ერთდროულად სამივე უნივერსიტეტის ბაზაზე. სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკის პოლიტიკა, დასაქმების პოლიტიკა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში, კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელები, შრომითი ურთიერთობები და სოციალური დიალოგი საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში, ევროპის საკანონმდებლო რეგულაციები ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში, აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება ევროკავშირში ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, შედარებითი შრომის სამართალი.

პროექტის უცხოელი პარტნიორები არიან: ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი (აპლიკანტი), პლოვდივის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ევროპული კოლეჯი, მაგდებურგის უნივერსიტეტი, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი.

ღია კარის დღეს ესწრებოდნენ ქართული და უცხოური მხარეების წარმომადგენლები: თსუ-ის ვიცერექტორი მარინე ჩიტაშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის რექტორი კახა შენგელია, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის რექტორი მაიკლ ქაუგილი, საქართველოში ტემპუსის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ლიკა ღლონტი, მოწვეული სტუმრები და სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებული პირები.

„ამ სამაგისტრო პროგრამის უპირატესობა მისი ინტერსაუნივერსიტეტო ფორმაა. პროგრამის 23 სასწავლო კურსიდან სტუდენტები 10 სასწავლო კურსს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში გაივლიან, 7 კურსს — კავკასიის უნივერსიტეტში, ხოლო 6 კურსს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. „სიახლეა ისიც, რომ ჩვენი პარტნიორები არიან კერძო უნივერსიტეტები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ვთანამშრომლობთ. მომავალში ეს პროგრამა მოგვეხმარება კარიერული განვითარების ცენტრის ფუნქციონირებაშიც. სტუდენტებს შეეძლებათ, პრაქტიკა პირდაპირ გაიარონ ამ ცენტრში, რომელიც ჩვენ უნივერსიტეტში სამი თვის წინ შევქმენით“, — განაცხადა ვიცერექტორმა მარინე ჩიტაშვილმა.

ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგემ ჟაკ მიუროქსმა ახალ სამაგისტრო პროგრამას ამბიციური უწოდა და აღნიშნა, რომ პროგრამა მთლიანად ევროპული განათლების მოთხოვნების გათვალისწინებითაა შემუშავებული. „ჩვენ ვცდილობთ ვიხელმძღვანელოთ ევროპული ღირებულებებით, რათა უფრო განვავითაროთ საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობები. პროგრამაზე მუშაობა ორი წელია დავიწყეთ და ყველანაირად მზად ვართ — თქვენს ქვეყანაში დავნერგოთ და განვავითაროთ ეს ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა“, — აღნიშნა მან.

სამაგისტრო პროგრამის — „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ მნიშვნელობაზე ისაუბრა სამაგისტრო პროგრამის საზედამხედველო საბჭოს წევრმა, პარლამენტარმა გია ჟორჟოლიანმა, რომელმაც ამ პროგრამის ამუშავებას მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა. „დიდი ხანია ვთანამშრომლობთ ევროკავშირთან და ბევრ ევროპულ ქვეყანასთან, მაგრამ ხშირად მითიური წარმოდგენები გვაქვს ევროპაზე, რადგან აქამდე არ ვცდილობდით — ჩვენს ქვეყანაში დაგვემკვიდრებინა ის უმთავრესი პრინციპები, რომელიც საფუძვლად უდევს ევროპულ წესრიგს. საზოგადოებას დიდი ხნის განმავლობაში ეგონა, რომ ჩვენს ქვეყანას და ეკონომიკას იაფი მუშახელი განავითარებდა და ყველა ინვესტიცია ამ პრინციპს დაეყრდნობოდა. ეს მცდარი აზრი დაადასტურა ევროპულმა გამოცდილებამ და ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ ამის სწავლას. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, შევქმნათ გარემო, რომელშიც ადამიანები ენთუზიაზმით მუშაობენ. მხოლოდ შემოქმედებითი და ენთუზიაზმზე დაფუძნებული მუშაობა შექმნის რეალურად კონკურენტულ ეკონომიკას. სამაგისტრო პროგრამის ამუშავება ამ მიმართულებით პროცესების დაწყების დიდი სტიმული იქნება. მიმაჩნია, ეს არის წყალგამყოფი ხაზი ახალი ეკონომიკის განვითარებაში და ძალიან კარგია, რომ ეს იწყება ამ სამაგისტრო პროგრამით ახალგაზრდებთან ერთად“, — განაცხადა მან.

სამაგისტრო პროგრამაზე — „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ საბუთების მიღება უკვე დაწყებულია. პროგრამის ავტორები იმედოვნებენ, რომ მასზე მოხვედრას მხოლოდ ხარისხიანი განათლების მქონე მოტივირებული ახალგაზრდები შეძლებენ, რაც მომავალში ამ სპეციალობის რეიტინგულობას დაუდებს საფუძველს.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

თავისუფალი დრო

ძალიან ვარ დაინტერესებული — ჩემით შევქმნა ჩემივე ცხოვრება

ვრაგმატული თაობა ემოციურს ცხოვრებისთვის საჭირო ალღოს აღებით სჯობს. ასეთი თაობა მართლაც მოდის და, მიუხედავად მათი ბევრი კრიტიკისა „უნიგნურობისა" თუ „კომპიუტერთან მიჯაჭვულობის" გამო, დღევანდელმა ახალგაზრდებმა უფრო იციან – რა უნდათ, რა უნდა ისწავლონ და სად უნდათ შემდეგ დასაქმება, ვიდრე ეს 20 წლის წინ იცოდნენ ამავე თაობის წარმომადგენლებმა (ისინი ხომ „ახლად გათავისუფლებული საქართველოს ემოციებს აყოლილი შვილები" იყვნენ). ახალი თაობის გოგო-ბიჭები კი უკვე მაგალითებს ქმნიან — თუ როგორია დღევანდელი ახალგაზრდა? ერთ-ერთ ასეთ პერსონად წარმოგიდგენთ თამუნა ნიკოლეიშვილს, რომელიც წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი გახდა. მან ეროვნული სახელმწიფო გამოცდები ისე ჩააბარა, რომ 100 %-იანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა და ფიქრობს, რომ საწადელისთვის ჯერ არ მიუღწევია — ეს მხოლოდ დასაწყისია... ცეკვა უყვარს და ეხერხება და, როგორც ამ ხელოვნებით გატაცებულს, სამსახური აბიტურიენტობის დროსაც კი უშოვია. სწყურია დამოუკიდებლობა და მშობლებზე მიჯაჭვულობას შრომა ურჩევნია. მართალია, მომავალი ზუსტად განჭვრეტილი ჯერ არ აქვს, მაგრამ გეგმებს „თლის" და გონებაში აწყობს. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქცია დღეს მისი მასპინძელია.

— საინტერესო მაშინ არის პიროვნება, როდესაც მას კეთილი მიზანი ამოძრავებს და ამ მიზნისკენ სწრაფვისას საკუთარი შესაძლებლობების სწორად განსაზღვრის უნარი აქვს. საინტერესოა, რა მიზნით ჩააბარე ჟურნალისტიკაზე და არის თუ არა შენი არჩევანი შენივე მოწოდება?

— ჟურნალისტიკა ბავშვობიდან მაინტერესებდა. სულ ვუყურებდი გადაცემებსა და ტელე-შოუებს და ვფიქრობდი, რომ პრესაში მუშაობაზე მეტად მომხიბვლელია ტელე-ჟურნალისტიკა. მაინტერესებს სიახლეების ძიება, ახალი ამბების გაგება, ინფორმაციების მოძიება და ა.შ. თუმცა საინფორმაციო გამოშვებებს რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ პოლიტიკა არ მიზიდავს. დღევანდელ ვითარებაში ძალიან რთულად მეჩვენება ჟურნალისტისთვის ობიექტურობის დაცვა, რადგან ტელევიზიის ხელმძღვანელობისგან მათი პოლიტიკური ორიენტაციის შესაბამისი დაკვეთები მოდის ალბათ. ეს ვითარება კი თავისუფლებისმოყვარე ახალგაზრდას ძაბავს. ამიტომ აქედანვე კულტურის სფერო ავირჩიე და ვფიქრობ, რომ ჟურნალისტიკის დამთავრების შემდეგ ამ მიმართულებით გავაგრძელებ საქმიანობას. სხვადასხვა ქვეყნის კულტურები ძალიან მაინტერესებს და დიდი სიამოვნებით შევისწავლიდი ამ კუთხით მსოფლიოს, სადამდეც ხელი მიმიწვდება, ანუ „ფეხი შემედგმება". თანაც მე ხელოვნების მიმდევარი უკვე ვარ — ვცეკვავ და ცეკვის დროს მსოფლიო ისედაც ჩემი მგონია ხოლმე (იცინის...).

— ჯერ პირველ კურსზე სწავლაც კი არ დაგიწყია და უკვე მუშაობდი, რამდენადაც ვიცი...

— ერთ ადგილზე გაჩერება არ მიყვარს, არც ვინმეზე დამოკიდებულება მომწონს – იქნება ეს დედა თუ მამა, მიუხედავად მათი უშურველი მზრუნველობისა. სანამ სტუდენტი გავხდებოდი, აბიტურიენტობის დროს ვმუშაობდი და ჩემი შემოსავალი ყოველთვის მქონდა. ცეკვა ძალიან მიყვარს და მოვინდომე, რომ, რისი უნარიც მქონდა, ისე გამომეყენებინა, რომ ბარემ ცოტაოდენი ფულიც მეშოვა. შრომა რთულია, მაგრამ მშობლებზე დამოკიდებულებას მირჩევნია და ძალიან ვარ დაინტერესებული — ჩემით შევქმნა ჩემივე ცხოვრება.

— შენ სახელმწიფო ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულები დააგროვე და შეძელი 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება. აპირებ თუ არა ასეთივე შემართებით გააგრძელო სწავლა?

— ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ გამოცდებზე მაღალი ქულები მიმეღო და სახელმწიფო დაფინანსება მომეპოვებინა. ვიცი, რომ სახელმწიფო შემდეგ იმ სტუდენტებსაც ეხმარება, რომლებიც კარგად სწავლობენ და რომლებიც საზღვარგარეთ განათლების მიღებით არიან დაინტერესებული. როცა ასეთი საშუალებები არსებობს, უნდა გამოიყენო – მთავარია, კარგად ისწავლო და მეც სწორედ ასე ვარ განწყობილი. მინდა სტიპენდიაც მქონდეს, თუ გამომივა.

— რატომ შეაჩერე არჩევანი თსუ-ზე?

— სწავლა მხოლოდ თსუ-ში მინდოდა, რადგან ეს უნივერსიტეტი თავისი ტრადიციებით, იმიჯით, სწავლის დონითა და ხარისხით მიზიდავს. თანაც მინდოდა, სახელმწიფო უნივერსიტეტში მესწავლა და არა კერძო უმაღლეს სასწავლებელში, რაც შედარებით ძვირი სიამოვნებაცაა. სახელმწიფო უნივერსიტეტში უფრო დაცულადაც გვრძნობ თავს და მგონია, რომ აქ მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სტუდენტისთვის საჭირო ცოდნის მიცემას. მეც სწორედ ეს მაინტერესებს — რაც შეიძლება მეტი ცოდნა შევიძინო და ის უნარ-ჩვევები გამოვიმუშავო, რაც პროფესიონალს სჭირდება. მოკლედ, თსუ ჩემი არჩევანია. როგორც ახლად მოსული ცოტა დაბნეული ვარ – რა და როგორ დავიწყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ გზას გავიკვალავ. ისე საკმაოდ რთულია უცბად, ახალ გარემოსთან შეგუება, მაგრამ ახალ ადამიანებთან — ლექტორებთან თუ სტუდენტებთან ურთიერთობა მაინტერესებს და სრულებითაც არ მძაბავს.

თამუნა ნიკოლეიშვილი

მიხარია, რომ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავედი.

მოამზადა **ნინო კაკულიამ**

გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

უყურეთ შაბათს, 20 სექტემბერს, 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას „უნივერსიტეტი"

ცნობისთვის

TV

თსუ-ის ვებ-გვერდზე TSU.EDU.GE მარჯვენა ქვედა კუთხეში დაემატა უნივერსიტეტის გადაცემების ვიდეოჩანაწერების გვერდის აღმნიშვნელი პიქტოგრამა. ამ ღილაკზე ხელის დაჭერით

თქვენ შეგიძლიათ უყუროთ უნივერსიტეტის გადაცემებს

მოგვწერეთ:
facebook.com
Tsu/თსუ გადაცემა – უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62